CIAN MAGENTA YALLOW BLACK

ალია

## ნინო ბურჯანაძე:

„ხალხმა უნდა გადაწყვიტოს — ვამბობთ თუ არა ჩვენ ილუზორული ნატოს წევრობის საფასურად უარს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნების შანსზე!“

N170/3100/ 19 ნოემბერი 2014 წ
ფასი 1 ლარი
ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

# რას პასუხობს „ალიას“ კითხვებზე ირაკლი ალასანია



- — რატომ არ გადადგა ირაკლი ალასანია პროტესტის ნიშნად, თუკი დარწმუნებული იყო თავისი „ბიჭების“ სიმართლეში?
- — რატომ არ დაიწყო ბრძოლა „ცილისმწამებელი“ ხელისუფლების მოსაშორებლად, „თუკი დიქტატურა მოდის და დემოკრატია საფრთხეშია?
- — დაურეკა თუ არა მინდია ჯანელიძემ საფრანგეთში კონტრაქტის ჩაშლის მოთხოვნით?
- — რაზე ესაუბრა ბიძინა ივანიშვილს შუშის სასახლეში?

## პროკურატურა „რუსთავი 2“-სა და „იმედში“ „შედის“?

## ხელისუფლება კერძო ბიზნესისგან ხელფასების გაზრდას ითხოვს?



რას აპირებს და რისთვის ემზადება არასაპარლამენტო ოპოზიცია, თუკი საარჩევნო კოდექსი არ შეიცვლება?



## ვინ დაუკვეთა კვიციანის პატიმრობა?



რა მოთხოვნით იწყებენ 20 ნოემბრიდან აქციებს კვიციანის მომხრეები

## ლევან ჩაჩუა 10-ათასლარიანი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდა



თბილისის საქალაქო სასამართლომ ზურაბ ჟვანიას საქმეში ბრალდებულ ექსპერტ ლევან ჩაჩუას 10-ათასლარიანი გირაო შეუფარდა. პროცესზე ბრალდების მხარის მოწმეები დაიკითხნენ, მათ შორის გარდაცვლილი ზურაბ ჟვანიას მეუღლე. საქმის განხილვის შემდეგ მოსამართლემ ლევან ჩაჩუას განთავისუფლების გადაწყვეტილება მიიღო.

ჩაჩუას განცხადებით: „ერთ თვეში ისედაც თავდებოდა ჩემი პატიმრობის ვადა. გრძელდება სასამართლო პროცესი. მე თვითონ ვარ დაინტერესებული ამ პროცესით და სრულ თანადგომას ვუცხადებ სასამართლოს ობიექტური განაჩენისთვის. საკმარისად ვაგე დაუმსახურებლად პასუხი. 8 თვე ვიჯექი ციხეში. სასამართლო პროცესები დასრულდება და ყველაფერს პასუხი გაეცემა“. (ნიუპოსტი)

## საარსებო მინიმუმმა მაქსიმუმს მიაღწია



მიმდინარე წლის ოქტომბერში, საარსებო მინიმუმმა წლის მაქსიმუმს მიაღწია და 160 ლარი და 60 თეთრი შეადგინა. „საქსტატის“ მონაცემებით, ერთი წლის განმავლობაში, საარსებო მინიმუმი – 12 ლარით, სექტემბერთან შედარებით კი 4,8 ლარით გაიზარდა. ოფიციალური სტატისტიკით, ოქტომბერში საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმმა 142,3 ლარი შეადგინა, საშუალო ოჯახისამ კი – 269,5 ლარი. ერთსულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმი 142,3 ლარით განისაზღვრა, ექვსსულიანისა და მეტის კი – 378 ლარით. საარსებო მინიმუმის ზრდას, როგორც წესი, პროდუქტებზე ფასების ზრდა განაპირობებს. 2014 წლის შემოდგომაზე, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, სოფლის პროდუქტები 20-დან 100 პროცენტამდე გაძვირდა.

გაორმაგებულია ფასები კარტოფილსა და პომიდორზე, ფასის 25-პროცენტიანი ზრდა კი ხორცსა და ყველზეც ფიქსირდება. (ნიუპოსტი)

## დიდი ოდენობით თანხის მითვისებისთვის ერთი პირი დააკავეს



ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე, შპს-ების „მეტეხი 15“, „არაგვი XXI“ და „თემქა 21“ დირექტორი, ელგუჯა აფციაური დააკავა.

გამოძიებით დადგენილია, რომ ელგუჯა აფციაური, აღნიშნული კომპანიებით მონაწილეობდა სახელმწიფო პროგრამაში, რომლის ფარგლებში ასრულებდა მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების სადარბაზოების სარემონტო სამუშაოებს, გამგეობისა და ამხანაგობების თანადაფინანსებით. აღნიშნული სამუშაოების წარმოებისას, ე. აფციაური შესრულებული სამუშაოს აქტებში მუშა-მოსამსახურე პერსონალზე გაცემული ხელფასისა და გახარჯული მასალების გაზრდილი მონაცემების შეტანის გზით, მოტყუებით დაეუფლა ნაძალადევის რაიონის გამგეობისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების კუთვნილ 135 973 ლარს.

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 6-დან 9 წლამდე. (ნიუპოსტი)

## შემოსავლების სამსახურმა საგადასახადო სამართალდარღვევის 1557 ფაქტი გამოავლინა



საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული მიმდინარე კონტროლის ღონისძიების შედეგად, 10 ნოემბრიდან 16 ნოემბრის ჩათვლით, საგადასახადო სამართალდარღვევის 1557 ფაქტი გამოავლინა.

შემოსავლების სამსახურის ცნობით, საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის ოფიცრებმა 3477 გადამხდელი შეამოწმეს. შემოწმების შედეგად დაფიქსირდა შემდეგი საგადასახადო სამართალდარღვევები: საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირების 146 შემთხვევა; ეკონომიკური საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით განხორციელების 35 შემთხვევა; მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გამოუყენებლობის 1376 შემთხვევა. (ნიუპოსტი)



## ცხოველთა სასაკლაოების კონტროლი მკაცრდება

კრიტიკული შეუსაბამობების გამო, 6 სასაკლაოს საწარმოო პროცესი შეუჩერდა. სურსათის ეროვნული სააგენტოს ცნობით, ცხოველთა სასაკლაოების კონტროლი მკაცრდება.

მიმდინარე წლის 1-ლი იანვრიდან 17 ნოემბრის ჩათვლით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე განხორციელდა 90 გეგმური და 43 არაგეგმური ინსპექტირება. გაცემული რეკომენდაციების შესრულების შემოწმების მიზნით, გადამოწმდა 101 სასაკლაო. კრიტიკული შეუსაბამობების გამო საწარმოო პროცესი შეუჩერდა 6 სასაკლაოს.

დღეისთვის საქართველოში ოფიციალურად ფუნქციონირებს 85 სასაკლაო, საიდანაც გაიცემა ვეტერინარული მოწმობა ფორმა №2, რაც დასტურია იმისა, რომ საქონელს ჩატარებული აქვს დაკვლის წინა და დაკვლის შემდგომი ვეტერინარულ-სანიტარიული ექსპერტიზა.

ბოლო პერიოდში სურსათის ეროვნულმა სააგენტომ არალეგალური სასაკლაოებიდან და სარეალიზაციო ობიექტებიდან ამოიღო საეჭვო წარმომავლობის ხორცი, რომელსაც არ გააჩნდა ჯანმრთელობის ნიშანდება და, შესაბამისად, საფრთხეს უქმნიდა ადამიანის ჯანმრთელობას.

„სურსათის ეროვნული სააგენტო კონტროლს კიდევ უფრო გაამკაცრებს, მით უფრო, რომ 2015 წლის 1-ლი იანვრიდან სურსათის უვნებლობის კანონმდებლობაში ახალი ცნება – აღიარების მოთხოვნა შემოდის, რაც გულისხმობს რეგისტრირებული ბიზნესოპერატორის საქმიანობის შესაბამისობის დადასტურებას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

სურსათის ეროვნული სააგენტო მოუწოდებს მოსახლეობას, ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში დარეკოს სააგენტოს ცხელ ხაზზე: 291 91 68 (შიდა 3067; 3069). (ნიუპოსტი)

## დიღმის მასივში ხანძრის შედეგად 75 წლის ქალი დაშავდა




დიღმის მასივში ხანძრის შედეგად 75 წლის ქალმა დამწვრობა მიიღო. საგანგებო და გადაუდებელ სიტუაციათა სააგენტოს ცნობით, შემთხვევა დიღმის მასივის მე-6 კვარტალის, 21-ე კორპუსის, მე-10 სართულზე მოხდა.

ხანძარი 50 კვადრატულ მეტრ ფართობზე გავრცელდა, რის შედეგადაც მოხუცი ქალი დაშავდა. ის სასწრაფო დახმარების ბრიგადამ დამწვრობის ცენტრში გადაიყვანა. ადგილზე 5 სახანძრო ბრიგადა იყო გასული. ხანძრის გამომწვევი მიზეზები უცნობია. (ნიუპოსტი)

## „აჭარაბეთში“ სათამაშო აპარატები არ მუშაობს



„აჭარაბეთში“ სათამაშო აპარატები დახურულია. ობიექტზე საგამოძიებო სამსახურის შესვლასთან და აპარატების დახურვასთან დაკავშირებით ოფიციალურ კომენტარს ჯერ არ აკეთებენ. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის პრესსამსახურის უფროსის, გიორგი გრძელიშვილის თქმით, გამოძიება 218-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც გადასახადებისგან თავის არიდებას ითვალისწინებს.

ჯერ დაუზუსტებელია, რა ოდენობის ჯარიმის გადახდა მოუწევს „აჭარაბეთს“, თუმცა არსებობს ინფორმაცია, რომ საგამოძიებო სამსახური „აჭარაბეთის“ შენობის მეპატრონე თემურ უგულავას გადასახადებისგან თავის არიდებას ედავება. ამის გამო უგულავა შესაძლოა, 80 მილიონი ლარით დააჯარიმონ. (ნიუპოსტი)

## საქართველოს ბიუჯეტმა ბოლო წლებში 132 მილიონი ლარით იზარალა



საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფროსის ლაშა თორდიას განცხადებით, საქართველოს ბიუჯეტმა ბოლო წლების განმავლობაში 132 მილიონი ლარით იზარალა.

„ჯერჯერობით იმ ობიექტებში სადაც ჩვენ ვმუშაობთ, არ არის ისეთი მასალები, რომლებზეც ჩვენ ვფიქრობთ, რომ პროკურატურაში უნდა გადავაგზავნოთ, თუმცა შემოწმება საბოლოოდ რომ დასრულდება, მას შემდეგ ვიმსჯელებთ, არის თუ არა დანაშაულის ნიშნების შემცველი მასალები და შემდგომ უკვე მოვახდენთ რეაგირებას და გადავაგზავნით მთავარ პროკურატურაში. ზოგადად, უნდა ითქვას, რომ ამ ეტაპზე ჩვენ ვამოწმებთ ფინანსთა სამინისტროს, ლტოლვილთა სამინისტროს, ასევე სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სხვადასხვა უწყებებს. თავდაცვის სამინისტროს ვამოწმებთ 2011-2012-2013 წლების ფინანსურ საქმიანობას, შესაბამისად, არის გარკვეული თემები, რომლებიც, ვფიქრობთ, შეიცავს დანაშაულის ნიშნებს და ისინი გადაგზავნილია საქართველოს მთავარ პროკურატურაში. ნდობის ჯგუფის მოთხოვნის შესაბამისად, აღნიშნული მასალები ასევე მათაც გადაეგზავნებათ“, – განაცხადა ლაშა თორდიამ. (ნიუპოსტი)

## სახალხო დამცველი მთავარ პროკურორს მიმართავს




სახალხო დამცველი მთავარ პროკურორს წინადადებით მიმართავს საბადრაგო სამმართველოს თანამშრომლების მხრიდან მსჯავრდადებულთა მიმართ განხორციელებული შესაძლო დანაშაულის შესწავლის მიზნით გამოძიება დაიწყოს.

ომბუდსმენის აპარატის ცნობით, 2014 წლის 7 ნოემბერს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა ქუთაისის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოინახულეს მსჯავრდადებულები გ.ს., გ.ს. და ნ.თ. მსჯავრდადებულთა განცხადებით, მიმდინარე წლის 4 ნოემბერს მათი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში ტრანსპორტირების დროს ბადრაგის თანამშრომლები პროვოკაციულად იქცეოდნენ. სასამართლოში მიყვანის შემდგომ კი სამივე მსჯავრდადებული დროებითი მოთავსების იზოლატორის სხვადასხვა საკანში მოათავსეს, რამაც მსჯავრდადებულთა პროტესტი გამოიწვია. პროტესტს ერთ-ერთ ბადრაგთან სიტყვიერი შეკამათება მოჰყვა, რაც ურთიერთშეურაცხყოფაში გადაიზარდა.

„გაბრაზებული ბადრაგი გავიდა რამდენიმე წუთით და გ.ს-ს საკანთან იარაღით დაბრუნდა. სამივე მსჯავრდადებული ცალსახად აცხადებს, რომ ბადრაგმა გ.ს-ს საკნის კარის სარკმლიდან იარაღი დაუმიზნა და მოკვლით დაემუქრა.

სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ, მათ იზოლატორის შენობაში დაახლოებით საბადრაგო სამმართველოს ოცამდე თანამშრომელმა სამივე მსჯავრდადებული სასამართლოს შენობაში სცემეს. შემდეგ ისინი კვლავ ქუთაისის №2 დაწესებულებაში დააბრუნეს.

მსჯავრდადებულებს სახალხო დამცველის რწმუნებულებთან შეხვედრის დროს, სხეულზე მრავლობითი დაზიანებები აღენიშნებოდათ. დაზიანებების არსებობას ადასტურებს ასევე დაწესებულების ბრალდებულთა/მსჯავრდადებულთა ტრავმების აღრიცხვის ჟურნალის ჩანაწერები და 4 ნოემბერს სად-ის №2 დაწესებულების მორიგე ექიმის მიერ შედგენილი შემოსულ მსჯავრდადებულთა გარეგნული დათვალიერების აქტები“, – აღნიშნულია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

# რას პასუხობს „ალიას“ კითხვებზე ირაკლი ალასანია

გთავაზობთ ინტერვიუს თავდაცვის ექსმინისტრთან, **ირაკლი ალასანიასთან**:



**— ბატონო ირაკლი, თქვენს ადგილას რომ ვყოფილიყავი, იმ ჟურნალისტს, რომელმაც ჩემს პოლიტიკურ კარიერას თავდაცვის მინისტრის პოსტზე პირველი და სერიოზული დარტყმა მიაყენა, არ შევხვდებოდი... უცნაურია, რატომ დამთანხმდით ინტერვიუზე?**

– ყველაფერი ხდება, თქვენ თქვენს საქმეს აკეთებთ, თქვენ ხართ ჟურნალისტი და მე ვარ პოლიტიკოსი, ასეთ დარტყმებს შეჩვეული ვარ...

**— თქვენი პოლიტიკური გუნდი საქართველოს საგარეო კურსს განსაზღვრავდა, რატომ გადაზარდეთ სამართლებრივი დავა პოლიტიკურში და კაბელების საქმეზე თქვენი თანამშრომლების დაკავების შემდეგ რატომ განაცხადეთ, რომ საქართველოს ევროატლანტიკური კურსი საფრთხის ქვეშაა? რატომ არ დაუტოვეთ პრემიერ-მინისტრს სხვა არჩევანი, გარდა იმისა, რომ თავდაცვის მინისტრის პოსტიდან გადაეყენებინეთ, ნერვებმა გიმტყუნათ?**

– ის ნაბიჯები, რაც ერთბაშად დაიწყო პროკურატურამ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ჩემს წინააღმდეგ, იყო მიზანმიმართული და ამას ყველა ვარიანტში აქვს პოლიტიკური სარჩული, რადგან ყველა თემა გამოძიების პროცესში იყო. მეტიც, მე თვითონ დავიწყე ძალიან ბევრ საქმეზე გამოძიება და გადავეცი პროკურატურას. ამ პროცესს სჭირდებოდა ლოგიკურად გაგრძელება. იმ დროს, როდესაც მე ვიყავი საფრანგეთსა და გერმანიაში, ვსაუბრობდი საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაზრდაზე, სწორედ მაშინ გადადგეს ეს ნაბიჯი და დააკავეს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები. ეს თავდაცვის სამინისტროსთვის იყო ზურგში დარტყმული დანა. აქედან გამომდინარე, მოვითხოვე, რომ გაგვეანალიზებინა მომხდარი, შეგვეკრიბა პოლიტსაბჭო და გვემსჯელა, საით მიჰყავს პროკურატურას ეს ყველაფერი, ხომ არ უქმნის საფრთხეს რეალურად იმ სტრუქტურას, რომელიც აღიარებულია ნატოსა და საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ისე, როგორც მთავარი და ყველაზე ძლიერი რეფორმატორი საქართველოს მთავრობაში. ჩემი შეკითხვა სწორედ ამაში მდგომარეობდა და ამას ლოგიკური ნაბიჯი უნდა მოჰყოლოდა, ამ საკითხებზე გვემსჯელა, მაგრამ პრემიერმა სხვა არჩევანი გააკეთა. ეს მისი არჩევანია.

**— ახლა რას აპირებთ, ვისთან წარმოგიდგენიათ კოალიციის რეჟიმში მუშაობა? იქნებიან „რესპუბლიკელები“, „ეროვნული ფორუმი“ თუ?..**

– ეს გადაწყვეტილება მომწიფდება და მომზადდება, როცა 2016 წლის არჩევნებამდე 6 თვე დარჩება. დღეს ჩემთვის მთავარი ამოცანაა, რომ სივრცე გამეხსნა, როგორც დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალას; რომ გავაძლიეროთ ჩვენი პარტიული ორგანიზაციები, გვქონდეს დიალოგი ხალხთან და მოვემზადოთ არჩევნებისთვის. „რესპუბლიკელებთან“ ბევრი ღირებულებითი თანხვედრა გვაქვს, მაგრამ კოალიციასა და პოლიტიკურ პარტნიორზე საუბარი რეალურად დადგება, როგორც კი არჩევნებს მივუახლოვდებით.

**— კოალიციიდან „თავისუფალი დემოკრატების“ გასვლის შემდეგ, მივიღეთ არანორმალური ვითარება, როცა უმრავლესობის ადგილები შეავსეს „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარმა დეპუტატებმა, ვინც წლების მანძილზე აფინანსებდა და აძლიერებდა რეჟიმს. საზოგადოებას კოალიცია ასეთი შემადგენლობით არ აურჩევია. შესაბამისად, ეს უმრავლესობა იძენს არალეგიტიმურ სახეს, თქვენც მიგიძღვით ამაში ბრალი. მეორე მხრივ, პრემიერის ბრალდება, რომ თქვენ და თქვენი გუნდი ლობირებდით სააკაშვილს და მას არ მოიხსენიებდით როგორც სისხლის სამართლის დამნაშავეს... დღეს არის სიტუაცია, როცა ყველანი თანაბრად დამნაშავენი ხართ.**

„ძალიან გულდასაწყვეტია, როცა ასეთ უსაფუძვლო ბრალდებებზე ისაუბრა პრემიერ-მინისტრმა, ჩვენს ამოცანაში არ შედის, რომ პრემიერ-მინისტრის სიტყვამ ძალა დაკარგოს, ასეთი ბრალდებები, ბუნებრივია, პრემიერის დამაჯერებლობას პრობლემას უქმნის“

– ძალიან გულდასაწყვეტია, როცა ასეთ უსაფუძვლო ბრალდებებზე ისაუბრა პრემიერ-მინისტრმა. ჩვენს ამოცანაში არ შედის, რომ პრემიერ-მინისტრის სიტყვამ ძალა დაკარგოს. ასეთი ბრალდებები, ბუნებრივია, პრემიერის დამაჯერებლობას პრობლემას უქმნის. თქვენ სწორად აღნიშნეთ, როგორ შეიძლება ასეთი ბრალდება გქონდეს იმ პოლიტიკური ძალის მიმართ, როცა ამავე ძალამ უმრავლესობაში შეიყვანა „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები. ჩვენ ძალიან სწორადაც დავარქვით მათ სახელი, ეს არის „ნაციონალური ოცნების“ უმრავლესობა. ბუნებრივია, საზოგადოება ამას პოზიტიურ ნაბიჯად არ აღიქვამს, თუმცა, რაც გააკეთეს, ეს მათი არჩევანია.

**— საკუთარ თავს არ ადანაშაულებთ ამ პოლიტიკური რეალობის გამო?**

– არც ერთხელ არ გადაგვიდგამს იმ მიმართულებით ნაბიჯი, რომ კოალიცია დაგვეშალა, ან რაიმე ფორმით მაინც კოალიციური ერთობისთვის ჩრდილი მიგვეყენებინა. პირადად ჩემზე უამრავი ბრალდება და თავდასხმა იყო, ეს გზა ღირსეულად გავიარეთ, მაგრამ ბოლოს თავად გადადგეს ეს ნაბიჯი, რომ ასეთი პოლიტიკური შეტევა განახორციელეს ჩვენზე.



**— ყველაფერი კი ბოლო ვიზიტით დაიწყო, როცა თქვენ ბრძანდებოდით საფრანგეთსა და გერმანიაში ვიზიტად და ხვდებოდით კოლეგებს. ეს ორი ქვეყანა მუდმივ წინააღმდეგობაში იყო, რომ საქართველო ნატოში არ გაწევრიანებულიყო. თუმცა თქვენ სწორედ ამ ორი ქვეყნის თავდაცვის მინისტრებთან საუბრობდით თავდაცვითი იარაღის შეძენაზე. ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი აცხადებს, რომ თქვენ დაგირეკათ მინდია ჯანელიძემ და გითხრათ, რომ კონტრაქტზე ხელი არ მოგეწერათ. უარის შემდეგ მოხდა ის, რაც მოხდა და დააკავეს თქვენი სამინისტროს მაღალჩინოსნები. ეს რეალური ამბავია? ადასტურებთ, რომ ჯანელიძემ დაგირეკათ და გაგაფრთხილათ, კონტრაქტზე ხელი არ მოგეწერათ და თუ ეს ასე იყო, გაუგებარია, რატომ გადაიყვანეთ სამართლებრივი დავა პოლიტიკურ ჭრილში. თავი დაიზღვიეთ?**

– მე გეტყვით მთავარს, ის ვიზიტი და შეთანხმებები, რომელიც საფრანგეთში მოხდა და შემდეგ გერმანიაშიც გაგრძელდა, სახელმწიფოებრივად მართლაც უდიდესი მნიშვნელობისაა. ეს ეხება ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებასა და თავდაცვას, მაგრამ ამ თემებზე ღიად ვერ ვისაუბრებ, ეს არის სახელმწიფოებრივად კონფიდენციალური საქმე. ზუსტად ვიცი, რაზეა საუბარი და მინდა დავინახო ეს საქმე გაგრძელებული, ლოგიკურ დასასრულამდე მიყვანილი. თუ ამ პროცესს ხელი შეეშალა, მაშინ ვალდებული ვიქნები, საზოგადოებასთან ვისაუბრო იმაზე, რა და როგორ მოხდა. სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ამაზე მეტი კომენტარის გაკეთება საჭიროდ არ მიმაჩნია...

**— მინდია ჯანელიძემ დაგირეკათ თუ არა, რომ მოლაპარაკება შეგეწყვიტათ იარაღის შესყიდვაზე?**

– ამ თემაზე მეტს არ ვილაპარაკებ. რაც შეეხება თავად ჩემს შემცვლელს თავდაცვის მინისტრის პოსტზე მინდია ჯანელიძეს, მე მას დავხვდი და გადავაბარე სამინისტროს ხელმძღვანელობა, გადავაბარე სამინისტრო, მასთან მომიწია ბოლო ორი წლის მანძილზე მუშაობა და მიმაჩნია, რომ ის არის ჩვენი ქვეყნის პატრიოტი მოქალაქე და მჯერა, რომ მასაც აქვს სურვილი, რომ ჩვენს დაწყებულ საქმეებს გააგრძელებს. იმედი მაქვს, ხელისშემშლელი ფაქტორები მას არ ექნება.

**— ექსპერტმა სოსო ცისკარიშვილმა, რომელიც თქვენი აქტიური მხარდამჭერია, ჯანელიძის თავდაცვის მინისტრად დანიშვნა გააპროტესტა და თქვა, რომ ის არის ჩეკისტი და „კაგებეს“ მაგვარ სტრუქტურებში ნამუშევარი. მინისტრად კი სამოქალაქო პირი უნდა დანიშნულიყოო. თუმცა მას შევახსენეთ, რომ თქვენც უშიშროების სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი იყავით... თქვენც ასე თვლით, რომ ჯანელიძე ჩეკისტია?**

– არა, მე ჩემი აზრი გითხარით მინდია ჯანელიძეზე.

**— მაინც ვერ გავიგე, პოლიტიკური განხეთქილების თემად რატომ აქციეთ სამართლებრივი საკითხი, ყოფილიყავით და შიგნით გებრძოლათ...**

– ეტყობა, ვერ გამიგეთ, ჩვენ არ გადაგვიდგამს ეს ნაბიჯი, მე არ წავსულვარ თანამდებობიდან და ეს საკითხი არ მიქცევია პოლიტიკური განხეთქილების თემად.

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი...

## გაგრის მოსახლეობა რუსეთთან ახალი ხელშეკრულებით შეშფოთებულია



გაგრის რაიონის სოფელ ბზიფში მოსახლეობის შეხვედრა გაიმართა, რომელზეც განიხილეს ე.წ. „რუსეთსა და აფხაზეთს შორის თანამშრომლობისა და ინტეგრაციის“ ხელშეკრულება“, რომელსაც რუსეთის განცხადებით, უახლოეს მომავალში უნდა მოეწეროს ხელი.

შეხვედრაზე მოსახლეობამ შეშფოთება გამოთქვა იმ ფაქტის გამო, რომ ზემოაღნიშნული ხელშეკრულების რამდენიმე მუხლი, არღვევს ე.წ. „აფხაზეთის კონსტიტუციის“ დებულებებს და ხელყოფს „აფხაზეთის რესპუბლიკის“ სუვერენიტეტსა და ინტერესებს. უარყოფითად იქნა შეფასებული ხელშეკრულების მე-7 მუხლი – „ერთობლივი საჯარისო დაჯგუფებების შექმნა რუსეთის ეგიდით“, მუხლი 13 – „სპეციალიზებული საბაჟო ორგანოების შექმნა აფხაზეთში, რუსეთის ფედერაციის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ“, მე-14 მუხლი – „მოქალაქეობის მიღების გამარტივება ორივე მხარის მიერ“ და სხვა მუხლები.

შეხვედრაზე მიიღეს მიმართვა, სადაც აღნიშნულია, რომ მოსახლეობა არ ეთანხმება ხელშეკრულების ამ სახით მიღებას და ითხოვს თანაბარი უფლებების გათვალისწინებას მასში. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## სამი წლის ბავშვის გაუპატიურებისთვის რუსეთში საქართველოს მოქალაქე დააკავეს



რუსული მედიის ცნობით, პეტერბურგში სამი წლის ბავშვის გაუპატიურებისთვის საქართველოს მოქალაქე დააკავეს. პეტერბურგის პედიატრიულ უნივერსიტეტში 16 ნოემბერს 3 წლის ბიჭუნა მიიყვანეს. შესაბამისი სამედიცინო ჩარევის შემდეგ, ბავშვი სახლში გაუშვეს.

სამართალდამცავებს დაზარალებულმა მოუყვა, რომ მასზე დედამისთან ერთად მცხოვრებმა პირმა, ვინმე „ზაურმა“ იძალადა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამძებრო განყოფილების წარმომადგენლებმა მეორე დღესვე დააკავეს საქართველოს მოქალაქე, 23 წლის ზაურ მ., რომელმაც ჩადენილი დანაშაული აღიარა.

დამნაშავე სანკტ-პეტერბურგის „წითელარმიელთა რაიონის“ მილიციის განყოფილების წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს. (ნიუპოსტი)

*მესამე გვერდიდან*

**— კი მაგრამ, თავდაცვის მინისტრი რომ აკეთებს განცხადებას, — ქვეყანამ ევროატლანტიკურ კურსს გადაუხვიაო, ამის მერე როგორ უნდა მოიქცეს მთავრობის ხელმძღვანელი?**

– პროკურატურას არ უნდა გადაედგა ეს ნაბიჯი, არ იყო ამის აუცილებლობა. მიდიოდა გამოძიება, ერთი წლის წინათ მე თვითონ გადავეცი პროკურატურას კვების საკითხზე მასალები. გამოძიებულ მასალებს პროკურატურას ვაძლევდი, ეს არის ჩვეულებრივი პროცესი, მაგრამ სწორედ ამ დროს დაიწყო კონცენტრირებული შეტევა საქართველოს თავდაცვის მინისტრზე, როდესაც მათ ჯერ კიდევ მაისში იცოდნენ, რომ მე პარტიის ყრილობის ჩატარებას ვაპირებდი და საუბარი იყო ჩემს თავმჯდომარეობაზე...

**— როცა თავდაცვის მინისტრად დაინიშნეთ, თქვენი პარტიის თავმჯდომარის პოსტიდან გადადექით. ორი წლის თავზე კვლავ მოისურვეთ პარტიის თავმჯდომარეობა. სად არის ლოგიკა? თქვენმა წინამორბედმა, ირაკლი ქადაგიშვილმა ვერ გაამართლა, პარტია გეშლებოდათ?**

– არა, ჩვენ გვინდა როტაციის პრინციპი დავამკვიდროთ პარტიაში, რომ ყველა ლიდერი როტაციულად უნდა იცვლებოდეს პარტიაში. ჩემი პარტიიდან წასვლის მთავარი ამოცანა იყო ერთადერთი, იმდენად პოლიტიზებული იყო თავდაცვის სამინისტრო, რომ მინდოდა, ჩემი თავი სრულად მიმეძღვნა დეპოლიტიზაციისთვის და ამას მივაღწიე...

**— ვერ მიაღწიეთ, რადგან თქვენი სამინისტროდან წამოსვლა იყო პოლიტიკური საარჩევნო პიარის დასაწყისი. თანამშრომლებმა ტაშითა და საპატიო დერეფნით გამოგაცილეს, ეს მაშინ, როცა თავდაცვის სამინისტროდან მინისტრები უხმაუროდ ტოვებენ უწყებას.**

– არა, დეპოლიტიზაცია ეხება შეიარაღებულ ძალებს. ორმა არჩევნებმა დაანახა საზოგადოებას, რომ არავინ არ ჩარეულა სამხედროების ნების შესაცვლელად, რითიც დადასტურდა, რომ შეიარაღებული ძალები არის დეპოლიტიზებული. ამიტომაც აქცენტები გადატანილი მქონდა უკვე პარტიის გაძლიერებაზე. ჩემი პარტიული გეგმების შესახებ ჯერ კიდევ მაისში ვუთხარი ჩვენს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას. მაშინ, როცა ასეთ მნიშვნელოვან შეხვედრებს ვმართავდი გერმანიასა და საფრანგეთში, ამ ყველაფერმა საფუძვლიანი ეჭვი გააჩინა, რომ პროკურატურის ნაბიჯები მიმართული იყო იმ უწყების წინააღმდეგ, რომელსაც ასეთი დიდი როლი აქვს ნატოსა და საქართველოს შორის. ამიტომ გაჩნდა საფრთხე და მე მოვითხოვე შეხვედრა პოლიტიკურ საბჭოში, რომ ამ ყველაფერზე გვემსჯელა.

**— თქვენ საგანგებო განცხადება გააკეთეთ და მიმართეთ პროკურატურას ე.წ. კაბელების საქმესთან დაკავშირებით: „ამ დრომდე ადვოკატებს არ გადასცემიათ ე.წ. კაბელების საქმის მასალები, არ მიეცათ შესაძლებლობა, რომ დაკავებული პირების სრულყოფილად დაცვა განახორციელონ. აქედან გამომდინარე, მინდა კიდევ ერთხელ მივმართო მთავრობას, რაც შეიძლება დროულად მიეცეთ ადვოკატებს ამ ადამიანების დაცვის შესაძლებლობა, ეს არის ბოლო გაფრთხილება, განსაკუთრებით პროკურატურის მიმართ, იმ შემთხვევაში, თუ არაფერი შეიცვლება, უკვე ამ პროცესში ჩავრთავ საერთაშორისო საზოგადოებას...“ თუ აღმოჩნდა, რომ თქვენი თანამშრომლები არიან დამნაშავენი და ისინი კორუფციულ გარიგებებში ამხილა პროკურატურამ, მაშინ რას იზამთ?**

– პირველ რიგში, მე ვიცნობ ამ ადამიანებს, ზუსტად ვიცი, რა ენერგიით და რამდენი წელია ისინი ემსახურებიან საკუთარ ქვეყანას. მე შინაგანად ვარ დარწმუნებული მათს უდანაშაულობაში და ამ ტენდერში უფრო ღრმად რომ ჩავიხედე, წარმოუდგენლად მიმაჩნია, რომ საუბარი ყოფილიყო უკანონო ტენდერზე, ან რაიმე ფორმით სახელმწიფო ფულის მითვისებაზე. მე თვითონ იურისტი ვარ და ეს საკითხი წარმოუდგენლად მიმაჩნია, მაგრამ ჩემი პირველივე განცხადება, როცა ჩამოვედი, იყო ის, რომ გამოძიებას ხელი არაფერმა არ უნდა შეუშალოს. მე არ მესმის, რა საჭიროა იმ ადამიანების წინასწარ პატიმრობაში ყოფნა, ეს უნდა იყოს უკიდურესი ფორმა, რატომ იყვნენ ეს ადამიანები ერთი კვირის განმავლობაში კარანტინში, რატომ არ გადაიყვანეს ციხეში და იცით, რატომ? მათზე სურდათ ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოხდენა, ამაში ვარ დარწმუნებული. როგორც კი ამ თემით საზოგადოება და საერთაშორისო თანამეგობრობა დაინტერესდა და ითქვა, რომ ე.წ. კაბელების საქმეს მოეხსნას გრიფი „საიდუმლო“, იმ წამსვე შევიდა პროკურატურა და მთელი მასალები, რაც კი თავდაცვის სამინისტროში იყო, წაიღო. იმიტომ რომ პროკურატურა ეძებს ახალ დამადასტურებელ მასალებს, რადგან იციან, რომ იქ ბრალდებას უჭირს მტკიცებულებაში. ამიტომ დღეს ჩემი მთავარი ამოცანა არის ის, რომ საზოგადოებამ სასამართლოს გზით დაინახოს სიმართლე და ყველას გპირდებით, ამ სიმართლეს საზოგადოებას დავანახებ!.. რა თქმა უნდა, გამორიცხული არაფერია, მაგრამ მთავარია უდანაშაულობის პრეზუმფცია, ამიტომ ყველას უნდა ჰქონდეს რწმენა იმაში, რომ სანამ არ დაუდასტურდება ნებისმიერი ადამიანს დანაშაული, მანამდე ის არის უდანაშაულო.

**— შიშობთ, რომ დაგიჭერენ?**

– არანაირი შიში არ მაქვს. არასდროს გავურბოდი ბრძოლას და მთელი ჩემი არსებით შევდიოდი საქმესა და ბრძოლაში...

**— რატომ არ უხსნით მოსახლეობას, რა საჭირო იყო კაბელის ახალი მაგისტრალის გაყვანა? ბიძინა ივანიშვილმა ძალიან ბევრი კითხვა დასვა თქვენი მისამართით. რატომ გამოაცხადა საერთოდ ტენდერი ამ საკითხზე თავდაცვის სამინისტრომ, როცა არსებობდა კაბელი, რატომ გადაირიცხა ამხელა ფული წინასწარ, რატომ შეირჩა მაინცდამაინც „სილქნეტი“?..**

– ახალი მაგისტრალის გაყვანა იყო უდიდესი სახელმწიფო მნიშვნელობის, ეს იყო არჩევანი არა რომელიმე სამოქალაქო პირის, არამედ სამხედრო პირების. მათ დასახეს ის გეგმა, რომელიც ესაჭიროება ქვეყანას ასეთი კომუნიკაციისთვის, დეტალებში მეტს ვერ შევალ და თუკი ღიად ჩატარდა სასამართლო პროცესი, დარწმუნებული ვარ, ხალხი ყველაფერს ნათლად დაინახავს.

**— ბიძინა ივანიშვილმა ინტერვიუში განაცხადა, — ირაკლი ალასანიას ყოველ შეხვედრაზე იმას ვეხვეწებოდი, მოეშორებინა გეგენავას კვების ფირმა თავდაცვის სამინისტროდან, რომელმაც ჯარისკაცები მოწამლაო. რატომ არ ასრულებდით მის თხოვნას?**

– დაინტერესებულ ჟურნალისტებს შეუძლიათ ნახონ, რადგან ეს იყო ღია ელექტრონული ტენდერები, თუ აღმოაჩენთ იქ გეგენავას კომპანიას, მერე ვისაუბროთ. აქედან გამომდინარე, ეს იყო მცდარი ინფორმაცია, რაზე დაყრდნობითაც ბიძინა ივანიშვილი საუბრობდა.

**— როცა თქვენ ბიძინა ივანიშვილს შუშის სასახლეში შეხვდით, კონკრეტულად რაზე ილაპარაკეთ?**

– ძალიან ბევრ რამეზე, ეს იყო გულწრფელი საუბარი. ვისაუბრეთ, თუ როგორ მოვედით ამ დღემდე, სად დავუშვით შეცდომები, მაგრამ დეტალებზე ღიად ვერ ვისაუბრებ, ეს არ არის ჩემი სტილი, ორ ადამიანს შორის ნალაპარაკევი გამოვიტანო. მთავარი, რაც ამ შეხვედრაზე ითქვა, არის ის, რომ ჩვენ, მიუხედავად იმისა, რომ დღეიდან ვართ პოლიტიკური ოპონენტები, უნდა გვახსოვდეს, რომ მთავარია, ვართ სახელმწიფო და ჩვენმა ნაბიჯებმა არ დააზიანოს საქართველოს მომავალი.

**— პირველი კონფლიქტი უკავშირდებოდა იმას, რომ დამოუკიდებლად დაიწყეთ საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მზადება, ისე, რომ მაშინდელი პრემიერისთვის, ბიძინა ივანიშვილისთვის ეს მოულოდნელი აღმოჩნდა. მან კიდეც განმარტა, სომხეთში დამაწიეს ჟურნალისტებმა ეს კითხვაო. ის მართლაც მოგიაზრებდათ პრეზიდენტად, მაგრამ თქვენ გააფუჭეთ ყველაფერი. რომ არა თქვენი შეცდომა, დღეს საქართველოს პრეზიდენტი იქნებოდით?**

– ეს არის წარსული, რომლისკენ გახედვაც კი აღარ მინდა. იმ შემთხვევაში ეს იყო აბსოლუტურად უსაფუძვლო ბრალდება. როგორ შეიძლება ადამიანმა საპრეზიდენტო კამპანია დაიწყო ვინმეს ზურგსუკან, მით უფრო, ბიძინა ივანიშვილის. თქვენ ხომ მსჯელობთ ლოგიკურად, მიპასუხეთ, როგორ წარმოგიდგენიათ ეს პროცესი, როგორ უნდა დამეწყო დამოუკიდებლად საპრეზიდენტო კამპანია ისე, რომ ივანიშვილი და ჩემი კოლეგები საქმის კურსში არ ჩამეყენებინა. ეს ფიზიკურად შეუძლებელია.



**„იმ შემთხვევაში ეს იყო აბსოლუტურად უსაფუძვლო ბრალდება, როგორ შეიძლება ადამიანმა საპრეზიდენტო კამპანია დაიწყო ვინმეს ზურგსუკან, მით უფრო, ბიძინა ივანიშვილის. თქვენ ხომ მსჯელობთ ლოგიკურად, მიპასუხეთ, როგორ წარმოგიდგენიათ ეს პროცესი, როგორ უნდა დამეწყო დამოუკიდებლად საპრეზიდენტო კამპანია ისე, რომ ივანიშვილი და ჩემი კოლეგები საქმის კურსში არ ჩამეყენებინა. ეს ფიზიკურად შეუძლებელია“**



**„როგორც კი ამ თემით საზოგადოება და საერთაშორისო თანამეგობრობა დაინტერესდა და ითქვა, რომ ე.წ. კაბელების საქმეს მოეხსნას გრიფი „საიდუმლო“, იმ წამსვე შევიდა პროკურატურა და მთელი მასალები, რაც კი თავდაცვის სამინისტროში იყო, წაიღო. იმიტომ, რომ პროკურატურა ეძებს ახალ დამადასტურებელ მასალებს, რადგან იციან, რომ იქ ბრალდებას უჭირს მტკიცებულებაში“**

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი...

## განათლების კომიტეტმა „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში ცვლილებებს მხარი დაუჭირა



„ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში დაგეგმილ ცვლილებებს განათლებისა და მეცნიერების კომიტეტმა დღეს მესამე მოსმენით დაუჭირა მხარი. სტატუსების მიხედვით მასწავლებელთა ოთხ კატეგორიად დაყოფის სქემა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დღის წესრიგში რჩება, თუმცა ის კანონში ასახული არ იქნება.

განათლების სამინისტრო და პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი აღნიშნულ თემაზე ხანგრძლივი დისკუსიისა და დებატების შემდეგ, პარლამენტის მიერ ზოგადი ჩარჩო-კანონის მიღებაზე შეთანხმდნენ. კერძოდ, კანონში ჩაიწერება, რომ განათლების სამინისტროს მიერ მომზადებული მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა სპეციალურ სახელმწიფო კომისიას წარედგინება და შემდეგ მას მთავრობა დაამტკიცებს. ამ თვალსაზრისით კი, შეჯერებული კანონპროექტი პარლამენტში წარდგენილი პირვანდელი ვარიანტის თითქმის ანალოგიურია, განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ სქემის შემუშავების პროცესს ახალი რგოლი, სახელმწიფო კომისია ემატება. სტატუსების მიხედვით მასწავლებელთა ოთხ კატეგორიად – პრაქტიკოს, უფროს, წამყვან და მენტორ მასწავლებლებად დაყოფა პროექტის პირვანდელ ვარიანტშიც არ იყო ასახული. ასეთი სქემის შემოღების თაობაზე მხოლოდ კანონპროექტზე თანდართულ განმარტებით ბარათში ეწერა. მოგვიანებით, კომიტეტის მოთხოვნის გათვალისწინებით, აღნიშნული სქემა კანონპროექტში აისახა, თუმცა მასწავლებელთა ამგვარი გრადაციის გეგმა კომიტეტის თავმჯდომარისა და წევრებისთვის პრინციპულად მიუღებელი აღმოჩნდა. საბოლოოდ მხარეები შეთანხმდნენ, რომ კანონში მხოლოდ ის ჩაიწერება, რომ მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემას სამინისტრო მოამზადებს, წარუდგენს სახელმწიფო კომისიას და შემდეგ მას მთავრობა დაამტკიცებს. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „TV 3“-ის საინფორმაციოს უფროსმა თანამდებობა დატოვა



ტელეკომპანია „**TV 3**“-ის საინფორმაციო სამსახურის უფროსმა იმედა დარსალიამ თანამდებობა დატოვა. დარსალია თანამშრომლებს უკვე დაემშვიდობა. როგორც დარსალიამ განაცხადა, ის ჯერჯერობით სხვა არხზე გადასვლას არ გეგმავს. მისი თქმით, „**TV 3**“-დან წამოსვლა ერთი თვის წინ ჰქონდა გადაწყვეტილი. დარსალია არ ადასტურებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ის ტელეკომპანია ჩDშ-ზე გადადის და ყოფილი პრემიერ-მინისტრის გადაცემის პროდიუსერი ხდება.

„მე გიდასტურებთ, რომ „**TV 3**“-დან წამოვედი, მაგრამ არ ვადასტურებ იმას, რომ სადმე გადავდივარ. ორი კვირის განმავლობაში დასვენებას ვაპირებ და მერე არ ვიცი, რას ვიზამ. ბიძინა ივანიშვილის გადაცემის პროდიუსერობას არ ვადასტურებ. მე პირადად მივიღე გადაწყვეტილება, რომ „**TV 3**“-ში დასრულდა ჩემი მუშაობის პერიოდი და წამოვედი. ერთი თვის წინ ვაპირებდი წამოსვლას და ეს იცოდა ჩემმა ხელმძღვანელობამ, მაგრამ ჟურნალისტების მასობრივი წასვლის გამო არხი კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდა და მაშინ მივიღე გადაწყვეტილება, რომ სანამ არხი რელსებზე დაბრუნდებოდა, დავრჩენილიყავი. ჩემი წამოსვლა დიდი ხნის დაგეგმილი იყო. შემოთავაზება ჯერჯერობით არ მაქვს, შემდეგ არ ვიცი, რა იქნება“, – განაცხადა დარსალიამ. (პირველი რადიო)

# ლიბერთი ბანკმა სტუდენტები დააჯილდოვა

**სტუდენტთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ლიბერთი ბანკის დირექტორმა დავით ვერულაშვილმა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ინიციატივით გამართულ შეხვედრაზე დევნილი წარჩინებული სტუდენტები დააჯილდოვა.**



– მივესალმები აფხაზეთის მთავრობის ინიციატივას და ლიბერთი ბანკის სახელით ვულოცავ აფხაზეთიდან დევნილ სტუდენტებს სტუდენტთა საერთაშორისო დღეს. აღნიშნულ დღესთან დაკავშირებით, წარჩინებულ სტუდენტებს გადავცემთ სასაჩუქრე ბარათ **gift card**-ებს, რომლითაც თავად ექნებათ შესაძლებლობა, შეარჩიონ სასურველი საჩუქარი. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ლიბერთი ბანკი განათლების სამინისტროსთან ერთად სხვადასხვა ღონისძიების თანაორგანიზატორი და სპონსორია, რაც ახალგაზრდა თაობის განათლებასა და განვითარებას უწყობს ხელს, – განაცხადა დავით ვერულაშვილმა.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ლევან კობიაშვილი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობას აპირებს



საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული გუნდის ყოფილი მოთამაშე, ლევან კობიაშვილი, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობას აპირებს.

აქამდე მხოლოდ კულუარებში საუბრობდნენ, რომ ის სფფ-ს პრეზიდენტის მომავალ არჩევნებზე კენჭს იყრიდა. ამჯერად მან ოფიციალურად დაადასტურა, რომ კანდიდატი იქნება და ფედერაციის თავკაცის პოსტისთვის იბრძოლებს.

კობიაშვილმა კარიერა ბერლინის „ჰერტაში“ დაასრულა და ამჟამად ამავე კლუბში მენეჯერად მუშაობს, კერძოდ, ის ბერლინელთა საფეხბურთო აკადემიაში ბავშვთა ფეხბურთის ერთ-ერთი კურატორია.

კობიაშვილის განცხადებამდე ცნობილი იყო, რომ ფედერაციის პრეზიდენტობა ამავე ორგანიზაციის ამჟამინდელ გენერალურ მდივან რევაზ არველაძეს, ეროვნული ნაკრების ექსფეხბურთელ მიხეილ ყაველაშვილსა და ეროვნული გუნდის ყოფილ მწვრთნელ ვლადიმერ გუცაევს სურდათ. (ნიუპოსტი)

# ნინო ბურჯანაძე: „ხალხმა უნდა გადაწყვიტოს — ვამბობთ თუ არა ჩვენ ილუზორული ნატოს წევრობის საფასურად უარს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნების შანსზე!“

### „ჩვენი ხელისუფლება განცხადებებს აკეთებს არა საქართველოს, არამედ ჩვენი ქვეყნის მეგობარი, მოკავშირე ქვეყნების ინტერესებიდან გამომდინარე“

„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ, საქართველოს ხელისუფლების მეთაურის ბრიუსელში ვიზიტის შედეგებთან დაკავშირებით ბრიფინგი გამართა.

მისი თქმით, „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“ კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ძალიან მნიშვნელოვნად მიაჩნია საქართველოს ძალიან მჭიდრო თანამშრომლობა ევროკავშირთან და თვლის, რომ ეს თანამშრომლობა აუცილებლად უნდა გაგრძელდეს, თუმცა საქართველოს ხელისუფლებამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა ისწავლოს, რომ საქართველოს უმთავრესი მიზანი არის და უნდა იყოს არა რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრიანება, არამედ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, დემოკრატიული და სტაბილური განვითარება. ამისთვის კი, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ნათლად გააკეთოს გამიჯვნა ევროკავშირსა და ნატოს წევრობას შორის, საქართველოს ძალიან ბევრ სხვა პრობლემებს შორის. ყველასთვის ცნობილია, რომ ევროკავშირის წევრობა ავტომატურად არ ნიშნავს ნატოს წევრობას.

„ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის უმთავრესი ამოცანა არის სწორედ საქართველოს მთლიანობა და თუ ჩვენ არ გავმთლიანდებით და ჩვენი ტერიტორიული პრობლემების მოგვარებას ვერ შევძლებთ, ქვეყანა ვერ იქნება ვერც დემოკრატიული, ვერც ძლიერი და ვერც ეკონომიკურად ვერ დადგება ფეხზე. ამიტომ საუბარია მხოლოდ დასავლურ კურსზე და არაფრის კეთება საქართველოს რეალურად არაფერს მოუტანს“, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მისი თქმით, პრემიერის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ უკრაინაში მიმდინარე მოვლენები არის 2008 წლის აგვისტოს ომის გაგრძელება, არის პირდაპირი გამეორება იმისა, რასაც ამბობს მიხეილ სააკაშვილი და პრაქტიკულად სააკაშვილის პოლიტიკისა და ქმედებების გათეთრება, იმ ქმედებების გათეთრება, რომლებმაც 2008 წლის კატასტროფა მოიტანა. გარდა ამისა, ამ განცხადების გაკეთება პირდაპირ ნიშნავს რუსეთთან დიალოგზე უარის თქმას.



„მე სრული პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ ამ განცხადებით ირაკლი ღარიბაშვილმა დიდი ხნით დახურა თავისთვის ნებისმიერი მოლაპარაკების შესაძლებლობა რუსეთის ხელისუფლებასთან და, შესაბამისად, ეს შესაძლებლობა დაიხურა დღეს საქართველოსთვის. ეს კი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის მოგვარებას ნამდვილად არანაირად არ წაადგება“, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

„დემოკრატიული მოძრაობის ლიდერმა“ ასევე განცვიფრება გამოხატა იმასთან დაკავშირებით, რომ პრემიერს არც ერთი სიტყვა არ უთქვამს ევროკავშირის განცხადებებსა და რეზოლუციებზე და მხოლოდ მადლობით შემოიფარგლა, მაშინ როდესაც ყველა ამ დოკუმენტში ლაპარაკია საქართველოში არსებული პოლიტიკური დევნის ნიშნებზე.

რას ნიშნავს ეს? ჩვენი ხელისუფლება ეთანხმება იმას, რომ დღეს საქართველოში პოლიტიკური ოპონენტების დევნაა? რატომ ვერ ახერხებს ჩვენი დღევანდელი ხელისუფლება იმის ახსნას, რომ პოლიტიკური დევნა საქართველოში იყო მაშინ, როდესაც უამრავი უდანაშაულო ადამიანი, ცრუ ბრალდებებით ციხეში აღმოჩნდა. დაწყებული ირაკლი ბათიაშვილით, შემდეგ ჩვენი თანაპარტიელებით, რომლებსაც სახელმწიფო გადატრიალების ბრალდებებით იჭერდნენ და შემდეგ, ექვსი თვის თავზე ათავისუფლებდნენ იმიტომ, რომ ვერაფერს ვერ უმტკიცებდნენ?! 2009, 2010, 2011 წელს ასობით ადამიანი მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით იჯდა ციხეში. ჩვენი ხელისუფლება ამას ვერ უხსნის ან არ უხსნის ჩვენს ევროპისა და დასავლეთის ხელმძღვანელებს და შემოიფარგლება მონური მადლობით. ეს ძალიან სამწუხაროა და „ქართული ოცნების“ არაკომპეტენტურობასა და გაუბედავობაზე მიუთითებს“, – აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ.

მისი განცხადებით, „ქართული ოცნება“ ვერ ბედავს იმას, რასაც აკეთებს ყველა ნორმალური სახელმწიფოს ლიდერი. თუნდაც იმ ტიპის განცხადების გაკეთებას, როგორიც გააკეთა საფრანგეთის პრეზიდენტმა, რომელმაც თქვა, რომ ნებისმიერ გადაწყვეტილებას ის მიიღებს არა მსოფლიო კონიუნქტურიდან გამომდინარე, არამედ მისი სახელმწიფოს, საფრანგეთის ინტერესებიდან გამომდინარე.

„ჩვენი ხელისუფლება განცხადებებს აკეთებს არა საქართველოს, არამედ ჩვენი ქვეყნის მეგობარი, მოკავშირე ქვეყნების ინტერესებიდან გამომდინარე. რა თქმა უნდა, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი მეგობრების ინტერესებიც, მაგრამ პირველ პლანზე ყოველთვის საქართველოს სახელმწიფო ინტერესები უნდა იყოს, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვხედავ“ – აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ.

მისივე თქმით, დღეს საქართველოს ხელისუფლება ეჯიბრება „ნაციონალურ მოძრაობას“ იმაში, რომ კიდევ უფრო მაღლა ასწიოს ევროატლანტიკური დროშა და კიდევ უფრო მეტი მკვეთრი შეფასება მისცეს რუსეთის ქმედებებს უკრაინაში.

„რეალურად ჩვენი ხელისუფლების მხრიდან გამოიხატა მხოლოდ შეშფოთება იმ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, რომელიც, სავარაუდოდ, უნდა დაიდოს რუსეთსა და აფხაზეთს შორის. მე გავაფრთხილე „ქართული ოცნება“, რომ მუდმივი ძახილი ნატოს საწვრთნელი ბაზის, ან ნატოს ცენტრის საქართველოში განლაგებასთან დაკავშირებით აუცილებლად გამოიწვევდა მწვავე რეაგირებას რუსეთის მხრიდან და ეს რეაგირება გახდა სწორედ ხელშეკრულების შეთავაზება აფხაზეთისთვის. დღეს, ნაცვლად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება ელაპარაკებოდეს რუსეთის ხელისუფლებას, ელაპარაკებოდეს აფხაზებსა და ოსებს, მათთან აგვარებდეს პრობლემას, რომ მსგავსი ხელშეკრულების გაფორმება არ მოხდეს, ამის ნაცვლად ჩავდივართ ბრიუსელში და პატარა ბავშვებივით შევჩივლებთ იქ მომუშავე უმაღლესი თანამდებობის პირებს ამ ხელშეკრულებების ავკარგიანობასთან დაკავშირებით. როცა ნატოს გენერალურ მდივანს შესჩივლა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ამ ხელშეკრულების მოსალოდნელ უარყოფით შედეგებთან დაკავშირებით, მინდა ვკითხო მას: ბატონო პრემიერ-მინისტრო! ან აფხაზებს, ან რუსეთის ხელისუფლებას დაელაპარაკეთ ამ ხელშეკრულებაზე? სცადეთ ორმხრივი მოლაპარაკებების დაწყება, რომ ამ ხელშეკრულების ინტენსიფიკაცია არ მოხდეს?“ – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ

მისი თქმით, გზა, რომელიც ამ ხელისუფლებამ აირჩია, სამწუხაროდ, ვერ მოაგვარებს საქართველოს პრობლემებს და ვერც ნატოში გაწევრიანებას დააჩქარებს, რაც თავისთავად აბსოლუტურად ილუზორულია და საქართველოს მოსახლეობის მოტყუებაა და ვერც ევროკავშირთან ურთიერთობებში დიდად ვერ დაგვაწინაურებს.

„დღეს ჩვენმა ხელისუფლებამ, ამდენი ნატოში გაწევრიანებისა და ნატოს ბაზების საქართველოში განლაგების თაობაზე გაკეთებული განცხადებების ფონზე საქართველოს მოსახლეობას უნდა უთხრას სიმართლე. უნდა უთხრას, რომ ეს არის არჩევანი – ან საქართველო აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე ნატოში, ან კიდევ ახალი პოლიტიკა, რაც არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს სუვერენიტეტზე, დამოუკიდებლობაზე, დასავლეთთან მეგობრობაზე უარის თქმას.

ხალხმა უნდა გადაწყვიტოს – ვამბობთ თუ არა ჩვენ ილუზორული ნატოს წევრობის საფასურად აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემის მოგვარების შანსზე უარს.

ეს საქართველოს მოსახლეობამ ხმამაღლა უნდა თქვას!

მე და ჩემი თანაგუნდელები არაფრის ფასად, არასოდეს არ შევეგუებით ქვეყნის დანაწევრებას და კიდევ ერთხელ ვამბობ: ჩვენ ვართ ერთადერთი ძალა, რომელსაც შეგვწევს უნარი, ნორმალური ურთიერთობები შევინარჩუნოთ დასავლეთთან, მაგრამ ამავდროულად ვაწარმოოთ პირდაპირი დიალოგი სოხუმთან, ცხინვალთან და მოვაგვაროთ ურთიერთობები ცივილიზებული გზით რუსეთის ფედერაციასთან!

ეს სჭირდება ჩვენს ქვეყანას და არა ის რიტორიკული განცხადებები, რომელიც პირდაპირ ემსახურება რაც შეიძლება დიდი ხნით ხელისუფლებაში დარჩენას, საკუთარი მრავალმილიონიანი ქონების გადარჩენას და არა საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს!“ – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

# ვინ დაუკვეთა კვიციანის პატიმრობა?

## რა მოთხოვნით იწყებენ 20 ნოემბრიდან აქციებს კვიციანის მომხრეები



ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელი ნანა კაკაბაძე ემზარ კვიციანისთვის 12-წლიანი პატიმრობის შეფარდებას უზნეო გადაწყვეტილებას უწოდებს. კაკაბაძის თქმით: „აუცილებლად უნდა დადგეს მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი. სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით ტერიტორიული მთლიანობისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულება გამოიხატა. გამოსავალი ერთია – უნდა მოხდეს მთლიანად ქვეყნის მობილიზება და ხალხმა თავისი სიტყვა თქვას ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით. ემზარ კვიციანი არის ამ ხელისუფლების ნომერ პირველი პოლიტპატიმარი. საინტერესოა, ვისი დაკვეთით მოხდა მისი ციხეში გაშვება? კი ბატონო, გასაგებია, რომ სასამართლოს ისევ „ნაციონალური მოძრაობა“ აკონტროლებს, მაგრამ პროკურატურას და სხვა სამართალდამცავ ორგანოებს ვინ აკონტროლებს?“

ვინ დაუკვეთა კვიციანის პატიმრობაში დატოვება? როდის იწყება აქციები და რა მოთხოვნით? სად ჩატარდება და ვინ მიიღებს მონაწილეობას? ახლა რისი იმედი აქვს კაკაბაძეს, როცა მის მიერ მოწყობილ წინა აქციებს შედეგი არ მოჰყოლია?

**„ალია“ ნანა კაკაბაძეს ესაუბრა:**

**— ქალბატონო ნანა, განაცხადეთ, მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს, ხალხმა თავისი სიტყვა უნდა თქვასო. აქციებს იწყებთ?**

– ჩვენ შევუერთდებით იმ მღელვარებას, რომელიც აბსოლუტურად ლეგიტიმურად გაჩნდა საზოგადებაში ემზარ კვიციანის განაჩენთან დაკავშირებით. ეს განაჩენი არ არის მხოლოდ ემზარ კვიციანისა და მისი ოჯახის წინააღმდეგ, ეს არის საქართველოს სახელმწიფოს, მისი ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილება. ეს ადამიანი 2008 წლამდე იცავდა ხეობას და მერე სააკაშვილმა ჩააბარა ხეობა, ემზარ კვიციანზე გამოცხადდა ძებნა. ეს ნათელყოფდა იმას, რომ ამ ჩაბარების უკან იდგა შეთქმულება ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ, ემზარს ეძებდნენ იმისთვის, რომ მას საჯარო არ გაეხადა ის ინფორმაციები, რა ხდებოდა კოდორის ხეობის ჩაბარებასთან დაკავშირებით.

**— რატომ დააყენეთ ეჭვქვეშ სახელმწიფოს დამოკიდებულება ტერიტორიული მთლიანობისადმი?**

– იქიდან გამომდინარე, რომ ამაზე არ ჩატარებულა არანაირი გამოძიება, რატომ და რისთვის დაიკარგა ეს ტერიტორიები. საქართველოს მხარეს არ დაუსჯია არავინ, თუმცა ამას ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსი. საქმე უნდა აღძრულიყო იმაზე, რატომ დავკარგეთ იურიდიული გავლენა ამ ტერიტორიაზე და გადავეცით ეს ტერიტორია სხვებს? როცა პროკურატურას კითხვები ჰქონდა სააკაშვილთან, იქ ერთი კითხვაც არ არსებობდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით. ეს არის ლეგიტიმური კითხვა, რატომ არ დაინტერესდა „ქართული ოცნება“, როგორ ჩაბარდა დამატებით 140 ქართული სოფელი რუსეთს და მათ შორის კოდორის ხეობა, როგორ მოხდა მათი გასხვისება და დაიწყო ალიარების პროცესი? ამიტომ გამიჩნდა ეს ეჭვი და ამას მოჰყვა კვიციანის განაჩენი, რამაც გამიმყარა ეჭვი, რომ „ქართული ოცნებაც“ იგივე დაკვეთას ასრულებს, რასაც „ნაციონალური მოძრაობა“ ასრულებდა ჩვენი ქვეყნის დაშლასთან დაკავშირებით.

**— ვინ დაუკვეთა, თქვენ როგორ ფიქრობთ?**

– დასავლეთი იყო თუ ჩრდილოეთი ამის დამკვეთი, ამას იტყვის ის ხელისუფლება, რომელიც შეცვლის „ნაციონალებსაც“ და „ქართულ ოცნებასაც“, ჩემი ღრმა რწმენით, მოვა ხელისუფლება, რომელიც იქნება ქართულ სახელმწიფოზე, ხალხზე ორიენტირებული, ის დაინტერესდება და გამოიძიებს, რომელი ქვეყნის დაკვეთით გადაეცა ეს ტერიტორიები რუსეთს და ვისი დაკვეთით გამოუტანეს ეს განაჩენი კვიციანს. როცა ეს გააკეთა „ქართულმა ოცნებამ“, ბუნებრივად გამიჩნდა კითხვა, ესენი ამათ ხომ არ „ათეთრებდნენ“. სასამართლოებმა ნათელი მოჰფინა იმ პოლიტიკას, რომელსაც ახორციელებს „ქართული ოცნება“ 2 წლის განმავლობაში.

**— სასამართლოს „ნაცმოძრაობა“ აკონტროლებსო, ამბობთ, მაგრამ კითხვას სვამთ, შსს-სა და პროკურატურას ვინ აკონტროლებსო. თქვენ როგორ ფიქრობთ, ვინ აკონტროლებს?**

– ჩვენ ვიცით, რომ სასამართლო „ნაციონალების“ ხელშია, მაგრამ სასამართლოს ეს გადაწყვეტილება დამოუკიდებლად არ მიუღია, ის დაეყრდნო პროკურატურას. პროკურატურამ კი, ახალი ხელისუფლების პირობებში, არათუ არ გაითხოვა ბრალი, არც კი შეცვალა ფაბულა და იგივე ბრალი წაუყენა, რასაც უყენებდა „ნაციონალური მოძრაობა“.

**— ოჯახი საპარლამენტო კომისიის შექმნას მოითხოვს. ჯერ უარს ამბობენ, მაგრამ რომც შეიქმნას, რამე შედეგს ელოდებით?**

– როგორი კომისიაც არ უნდა შეიქმნას, ის ვერ დადებს იურიდიულ დასკვნას, ეს იქნება წმინდა პოლიტიკური გადაწყვეტილება და არსებითად არაფერი შეიცვლება. აქ გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას ქართველმა ხალხმა, ვისთვისაც ჩვენი ქვეყანა და მისი ტერიტორიული მთლიანობა მნიშვნელოვანია. ეს ხალხი უნდა გამოვიდეს, გააგებინოს რამე ხელისუფლებას და შეაზანზაროს კიდეც. ძალაუფლების წყარო ვართ ჩვენ, ქართველი ხალხი, და არა სხვა ქვეყნის პოლიტიკოსები, რომლებიც გაძლევენ დავალებებს.

**— როდიდან იწყებთ აქციებს?**

– ხუთშაბათს ვიწყებთ. ეს იქნება პირველი შეკრება და მერე, როგორც მოვლენების განვითარება მოითხოვს, იმის მიხედვით დავგეგმავთ.

**— რა სახის აქციები იქნება?**

– ხუთშაბათს გადავწყვეტთ, როგორ გავაგრძელებთ. უნდა გამოვააშკარაოთ „ქართული ოცნების“ ის თანამონაწილეობა, რომელსაც ის ახლა ეწევა კვიციანთან მიმართებაში. დღეს „ქართული ოცნება“ მხოლოდ „აპრავებს“ „ნაციონალურ მოძრაობას“, არავის უფლებები არ აღმდგარა ამ ქვეყანაში, გარდა 1-2 ადამიანისა, რომლებიც ისევ „ოცნების“ გუნდში არიან. ვერავინ იპოვა სამართლიანობა ამ ქვეყანაში. ეს ხელისუფლება მუშაობს „ნაციონალური მოძრაობის“ გათეთრებაზე.

**— სად იკრიბებით?**

– რუსთაველზე.

**— ვინ გიერთდებათ?**

– არ ვიცი ჯერ, დავდივარ ყველგან და ვატყობინებ ხალხს ჩვენს გადაწყვეტილებას, მერე დავგეგმავთ შემდგომ ნაბიჯებს.

**— რა მოთხოვნები გექნებათ?**

– მოვითხოვთ თავიდან იქნას გამოძიებული ეს საქმე, თორემ დავაყენებთ ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხს, რა ფორმით, ამაზე შევთანხმდებით. ამ ეტაპზე მეტს ვერაფერს ვიტყვი, ხუთშაბათს გაირკვევა დანარჩენი საკითხები.

**— სააპელაციოში როდის არის პროცესი ჩანიშნული?**

– ჯერ არაა, ამიტომ აპელაციამდე ჩავატარებთ.

**— ამ ხელისუფლების პირობებში უამრავი აქცია გაქვთ ჩატარებული და შედეგი არ მიგიღიათ, ხელისუფლებამ არაფერი შეისმინა, ახლა რისი იმედი გაქვთ?**

– ჩვენ როცა ბოლო აქცია გავაკეთეთ, 11 ათასზე მეტი ადამიანი შეიკრიბა, მაგრამ შედეგი არ დაიდო იმიტომ, რომ ჯერ კიდევ არსებობდა დიდი იმედი ხელისუფლების მიმართ, ახლა არავის არ დასჭირდება მტკიცება, რას აკეთებს ეს ხელისუფლება და არავის დასჭირდება ახსნა, რატომ უნდა გამოვიდეთ ქუჩაში. ქართველი ხალხი მაშინ ფიქრობდა, რომ „ოცნება“ ქართველი ხალხის ინტერესებს გაითვალისწინებდა, მაშინ სიფხიზლისკენ მოვუწოდებდით მათ, მაგრამ მაინც არ ირწმუნეს. ახლა იმდენი ფაქტი დაიდო, რომ აღარ სჭირდებათ იმის მტკიცება, რომ ხელისუფლება ქართველ ხალხზე არ ფიქრობს. კვიციანის განაჩენი იყო ბოლო აკორდი. დღეს ხალხის გარეთ გამოსაყვანად დიდი ძალისხმევა საჭირო აღარ არის. როგორი აქტიური და მომთხოვნიც იქნება საზოგადოება, ისეთი იქნება ხელისუფლების რეაქციაც. ხალხმა უნდა დავანახოთ ხელისუფლებას, რომ ან უნდა გააკეთოს ის, რაც ხალხს უნდა, ან არადა, დადგება მომენტი, როცა ისინიც „ნაციონალების“ გზას გაუყვებიან და ბევრად უფრო მძიმედ, ვიდრე მათ ჰგონიათ.

ჟანა ასანიძე
568 00 14 14

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი...

### „ქალბატონმა ლილიმ სამშობლოს ჩვენი დროის გმირი აღუზარდა“



საქართველოს პრეზიდენტი ეროვნული გმირის გიორგი ანწუხელიძის დედის გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამს.

„ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ გიორგი ანწუხელიძის დედის, ქალბატონ ლილი ანწუხელიძის გარდაცვალების გამო. საქართველოს თითოეულ მოქალაქესთან ერთად პატივს მივაგებ ქართველი დედის ნათელ ხსოვნას, ვინც ღირსების, ქვეყნის სიყვარულისა და მისთვისვე თავგანწირვის ფასეულობებზე ჩვენი დროის გმირი აღუზარდა სამშობლოს“, – ნათქვამია განცხადებაში.

ლილი ანწუხელიძე 18 ნოემბერს, დილით, 55 წლის ასაკში გარდაიცვალა. ლილი ანწუხელიძეს ახმეტის რაიონის სოფელ ალვანში დაკრძალავენ. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო გარდაცვლილის დაკრძალვის ხარჯებს სრულად დაფარავს. (ნიუპოსტი)



### ოზურგეთის რაიონში ხანძრის შედეგად სახლი მთლიანად დაიწვა

ოზურგეთის რაიონის სოფელ ბახვში ხანძრის შედეგად პაქსაძეების საცხოვრებელი სახლი მთლიანად დაიწვა.

როდესაც სახანძრო სამსახურის წარმომადგენლები ადგილზე მივიდნენ, სახლი უკვე დამწვარი იყო. არსებული ინფორმაციით, არიან დაშავებულებიც.

მეხანძრეების თქმით, ადგილზე შეტყობინების შესვლიდან 10 წუთში მივიდნენ, თუმცა სახლის სახურავი ცეცხლისგან უკვე ჩამონგრეული იყო.

ხანძრის გამომწვევი მიზეზები უცნობია. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

### „ღარიბაშვილმა სააკაშვილის პოლიტიკა გაათეთრა და რუსეთთან დიალოგის გზა დახურა“



„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე პრემიერ-მინისტრს მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკის „გათეთრებაში“ ადანაშაულებს.

„ღარიბაშვილის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ უკრაინაში მიმდინარე მოვლენები 2008 წლის ომის გაგრძელებაა, არის პირდაპირი გამეორება იმისა, რასაც სააკაშვილი ამბობს. ეს არის სააკაშვილის პოლიტიკისა და ქმედებების გათეთრება. ასევე, ამ განცხადების გაკეთება პირდაპირ ნიშნავს რუსეთთან დიალოგზე უარის თქმას. ამ განცხადებით ღარიბაშვილმა დიდი ხნით დახურა რუსეთის ხელისუფლებასთან მოლაპარაკების შესაძლებლობა“, – განაცხადა ბურჯანაძემ.

მან ასევე მოუწოდა ხელისუფლებას, ნათლად გააკეთოს გამიჯვნა ევროკავშირსა და ნატოს წევრობას შორის.

„ერთხელ და სამუდამოდ საქართველოს ხელისუფლებამ უნდა ისწავლოს, რომ საქართველოს უმთავრესი მიზანი უნდა იყოს, არა რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრიანება, არამედ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. ამისთვის აუცილებელია, რომ ხელისუფლებამ ნათლად გააკეთოს გამიჯვნა ევროკავშირსა და ნატოს წევრობას შორის, საქართველოს ბევრ სხვა პრობლემებს შორის, რადგან ძალიან კარგად ვიცით, რომ ევროკავშირში გაერთიანება ნატოს წევრობას არ ნიშნავს“, – განაცხადა ბურჯანაძემ. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge




ლაფერი ჩახლართულია, მაგალითად, სიგარეტი გაცილებით მეტი ეღირება, ვიდრე ეს გარეგნულად ჩანს — ფილტრიან სიგარეტზე (20 ღერზე) აქციზის განაკვეთი იქნება 15 თეთრი, უფილტრო სიგარეტზე — 5 თეთრი, მაგრამ აქ ჩნდება ზემოდან დღგ.

– კი, ამას დღგ ერიცხება ზემოდან, ანუ გადასახადი იბეგრება გადასახადით. ჩათვალე, რომ ამ შემთხვევაში მეწარმემ თავისი პროდუქცია, მინიმუმ, უნდა გააძვიროს 40 თეთრით, რეალიზაციის დროს რამდენს დაუმატებენ, ეგ კიდევ სხვა საკითხია. დღეს სახელმწიფოში ყველაზე დიდი ადგილი უკავია სიგარეტს, ალკოჰოლურ სასმელებსა და საწვავს.

— **ერთი კოლოფი სიგარეტი,**

> **„დღეს უკვე მესმის განცხადებები, თუკი მინისტრებსა და მათ ხელქვეითებს 10-12 ათასი ლარი აქვთ ხელფასი, კერძო სტრუქტურებს რაღა დაემართათო? რა დაემართათ და ახრჩობთ, შენ წარმოიდგინე, დღგ, საშემოსავლო და მოგების გადასახადი, საბოლოო ჯამში, 50-60 პროცენტს უბრახუნებს. ჩემი შემოსავლის 60 პროცენტი რომ ბიუჯეტში მიდის, ეს ძალიან მძიმეა“**

ბის ასაწევად ხმარობენ, ბუნებრივია, იმოქმედებს. ბიუჯეტის შესავსებად სხვა ვერაფერი მოიფიქრეს, რაც

**შეიძლება დაიწყოს კონტრაბანდის შემოტანაც?**

– კონტრაბანდას ალკვეთენ, ეგ არ არის პრობლემა, ასეთი სიგარეტი

# ხელისუფლება კერძო ბიზნესისგან ხელფასების გაზრდას ითხოვს?

2015 წლის პირველი იანვრიდან თამბაქოს ნაწარმზე, ალაოს ლუდზე, ეთილის სპირტსა და ალკოჰოლურ სასმელებზე აქციზის განაკვეთი იზრდება, ხოლო პირველი ივნისიდან ფილტრიან და უფილტრო სიგარეტებზე გადასახადის შერეული სისტემა ამუშავდება. ფინანსთა სამინისტროს გათვლებით, 2015 წლის ბიუჯეტში შემოსავლები მარტო ამ ღონისძიების შედეგად 808 მილიონი ლარით გაიზრდება, რაც 2014 წლის მაჩვენებელს 69 მილიონი ლარით აღემატება. ხელისუფლება თამბაქოსა და ალკოჰოლურ სასმელებზე სააქციზო განაკვეთს უკვე მესამედ ზრდის, ამ გზით ბიუჯეტში თითქმის 1 მილიარდი ლარი შეაქვს და თან ტრაბახობს, ჩვენი ეკონომიკა აღმავლობის გზაზეაო. სინამდვილეში რა ხდება, რატომ იყენებს ნოდარ ხადური მიხეილ სააკაშვილის სქემას, რამდენით დაარტყამს ეს ჩვენს ჯიბეს და რატომ მოხვდა ამ ჩამონათვალში ეთილის სპირტი, რომელიც დღეს ბენზინის ოქტანობის ასაწევად გამოიყენება?

**„ალიას“ ფინანსური პოლიციის უფროსის ყოფილი მოადგილე, სერგო ჯავახიძე ესაუბრება:**

– თუ გადავხედავთ „ნაციონალების“ პერიოდს, ასე აშკარად არ ხდებოდა სააქციზო განაკვეთის გაზრდა და ფასების მომატება, მაშინ ყურადღება იყო გამახვილებული გადასახადებზე და იწერებოდა უამრავი ჯარიმა. დღევანდელი ხელისუფლება, ასე თუ ისე, ჯარიმებს შეეშვა, ისეთი დოზით აღარ ხდება ბიზნესის გამწარება, მაგრამ სქემა თითქმის იგივე დარჩა. მაგალითად, როგორც კი მიშა პენსიების გაზრდას დააპირებდა ხოლმე, ეგრევე იძლეოდა ბრძანებას, რომ თანხები მომატებოდათ სამთავრობო სტრუქტურებს, ხელფასები გაზრდოდათ თანამშრომლებს, ჩინოვნიკებს, რათა ბიუჯეტში შესულიყო მეტი საშემოსავლო გადასახადი და იმ თანხებიდან პენსიონერებისთვის მიეცა 5-10 ლარი. თუ დავუკვირდებით, ამ ნიუანსს 2015 წლის ბიუჯეტშიც აღმოვაჩენთ, თითქმის ყველა სამინისტროს ეზრდება დაფინანსება, აქედან დიდი წილი წავა ხელფასებში, ბიუჯეტში შევა დაქვითული საშემოსავლო და იქიდან პენსიონერები მიიღებენ 10 ლარს. ესე იგი, სქემა ასეთია: მე არ ვავითარებ წარმოებას, თავს არ ვიტკიებ ფაბრიკა-ქარხნების გახსნით და ვადგები ძალიან იოლ, ანუ მიშასეულ გზას – ფულს ვიღებ შენი ჯიბიდან, შემაქვს ბიუჯეტში, ჩინოვნიკს ვაძლევ დაახლოებით 1000 ლარს, იქიდან 200 ლარი მიბრუნდება უკან და 10 ლარს ვუგდებ პენსიონერს.

— **სერგო, აქ აქციზის მომატებაზე კი არის საუბარი, მაგრამ ყველაფერი** **რომელიც ღირს 3 ლარი, საბოლოო ჯამში, დაახლოებით რამდენით გაძვირდება?**

– ვიანგარიშოთ: 3-ლარიან სიგარეტს ემატება აქციზის 15 თეთრი, საბაზრო ღირებულების 5 პროცენტი, რაც 3 ლარზე ასევე არის 15 თეთრი და ამას ემატება დღგ, თუ ადრე ეს სიგარეტის ღირებულებაში შედიოდა, ახლა აქციზის გადასახადის დღგ ცალკე უნდა ვიანგარიშოთ, რაც 6 თეთრი გამოდის. საბოლოო ჯამში, ვიღებთ ზუსტად 36 თეთრს. აქ საეჭვოა ეთილის სპირტის გაჩენაც, ყველამ იცის, რომ დღეს აზერბაიჯანიდან შემოტანილ უხარისხო საწვავს ამ სპირტს უმატებენ და ზრდიან ოქტანობას. ეს კომბინაცია სადღაც საწვავსაც ურტყამს.

— **ესე იგი, შეიძლება საწვავიც გაძვირდეს?**

– რაკი ეთილის სპირტს ოქტანობის ასაწევად ხმარობენ, ...



> **„როგორც კი მიშა პენსიების გაზრდას დააპირებდა ხოლმე, ეგრევე იძლეოდა ბრძანებას, რომ თანხები მომატებოდათ სამთავრობო სტრუქტურებს, ხელფასები გაზრდოდათ თანამშრომლებს, ჩინოვნიკებს, რათა ბიუჯეტში შესულიყო მეტი საშემოსავლო გადასახადი და იმ თანხებიდან პენსიონერებისთვის მიეცა 5-10 ლარი. თუ დავუკვირდებით, ამ ნიუანსს 2015 წლის ბიუჯეტშიც აღმოვაჩენთ, თითქმის ყველა სამინისტროს ეზრდება დაფინანსება, აქედან დიდი წილი წავა ხელფასებში, ბიუჯეტში შევა დაქვითული საშემოსავლო და იქიდან პენსიონერები მიიღებენ 10 ლარს“**

უფრო რეალიზებადია, იმ პროდუქტებზე უმატებენ.

— **არის მოსაზრება, რომ, თუ ჩვენი პროდუქციის ფასმა გადააჭარბა მეზობელი ქვეყნების პროდუქციის ფასს,** დახლებზე ვერ გაიყიდება. უბრალოდ, საქართველოდან ძალიან ბევრი ადამიანი გადადის საზღვარზე და შემოდის, მეზობელ ქვეყნებში იყიდიან რამდენიმე შეკვრას, რაც დაშვებულია და შემოიტანენ საკუთარი მოხმარებისთვის. ეს თითქოს არაფერია, მაგრამ სიგარეტის მწარმოებლებს მაინც დაარტყამს. თუ საწვავის გაძვირება ეგრევე აისახება სხვა პროდუქტების ფასებზე, აქ საქმე გვაქვს ირიბ შეხებასთან. მაგალითად, ეთილის სპირტი რომ არ

*გაგრძელება მე-8 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პრეზიდენტმა „წინანდლის პრემია“ აღადგინა



საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის ხელშეწყობით აღდგა „წინანდლის პრემია“, რომლის მიზანია ახალგაზრდა მეცნიერთა და შემოქმედთა წახალისება. აღნიშნულის თაობაზე ქვეყნის პირველმა პირმა შესაბამისი განკარგულებაც გამოსცა. მარგველაშვილის მხარდაჭერით, „ზურაბ ჟვანიას ფონდი“ კვლავაც აცხადებს კონკურსს აღიშნული პრემიის მოსაპოვებლად.

„წინანდლის პრემია“ 1999 წელს ზურაბ ჟვანიას ინიციატივით დაარსდა და მიზნად ისახავდა ახალგაზრდა მეცნიერებისა და შემოქმედების წახალისებასა და თანამედროვე ნამუშევრების საზოგადოებისთვის წარდგენას. პრემია გადაეცემათ 18-30 წლამდე ახალგაზრდა მეცნიერებსა და ხელოვანებს, რომლებმაც ერთი წლის განმავლობაში განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს და გაიმარჯვეს ნომინაციებში: თეატრალური ხელოვნება, კინოხელოვნება, მხატვრული ლიტერატურა (პროზა), მხატვრული ლიტერატურა (პოეზია), მუსიკა, ფოლკლორი, სახვითი ხელოვნება და მეცნიერება. „წინანდლის პრემიის“ ლაურეატები იყვნენ რატი ამაღლობელი, ნიკოლოზ რაჭველი, ლაშა ბულაძე, ნინო კასრაძე, ნატო მეტონიძე და სხვები. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ალგორითმის“ ქარხანა დაიხურა



კომპიუტერების მწარმოებელი კომპანია „ალგორითმი“ გაკოტრების პირასაა. მიმდინარე წლის სექტემბერში კომპანიამ თანამშრომელთა 70% სამსახურიდან გაათავისუფლა. მიზეზი შემოსავლების მკვეთრი შემცირება და ხელფასების გაუცემლობა სახელდება. მიმდინარე წლის სექტემბერში შემოსავლები წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 2,35-ჯერ არის შემცირებული.

პრობლემები კომპანიას ახალი 2012 წლის შემდეგ შეექმნა. მთავარი ბუღალტრის დავით კორახაშვილის განცხადებით, თანამშრომლების 50% 2013 წელსაც შეამცირეს, კერძოდ, 2012 წელს კომპანიაში 132 თანამშრომელი მუშაობდა, 2013 წელს კი „ალგორითმში“ დასაქმებულთა რიცხვი 62-მდე შემცირდა. „ალგორითმმა“ ბოლო მსხვილი შეკვეთა სახელმწიფოს მხრიდან პირველკლასელთა ნეტბუკებზე 2013 წელს მიიღო, მას შემდეგ კი ქარხანა გაჩერებულია, მით უმეტეს, რომ 2014 სასწავლო წლის ტენდერში კომპანიამ ვერ გაიმარჯვა.

ქარხანაში პირველკლასელების კომპიუტერების აწყობა და პროგრამების ჩატვირთვა ხორციელდებოდა.

სწორედ ამ ქარხანაში აწყობილი ნეტბუკები მიიღეს 2011-2012-2013 წლებში პირველკლასელებმა. წელს კი სახელმწიფო ტენდერში კომპანია „იუ-ჯი-თი“-მ გაიმარჯვა. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


*მეშვიდე გვერდიდან*

იყოს მნიშვნელოვანი პროდუქტი, ფინანსთა სამინისტრო ყურადღებას არ მიაქცევდა. ეს ისეთი რამეა, რაც მე და შენ არ გვჭირდება.

**— სხვათა შორის, კონსტიტუციაში გვიწერია, რომ ასეთი საკითხები უნდა გავიდეს რეფერენდუმზე, ჩვენც უნდა გვკითხონ რაღაცა.**

– კი, ასეთი რამ კონსტიტუციაში ჩაიწერა, მაგრამ ახლა რეფერენდუმისთვის ვის სცალია? როგორც ჩანს, პრივატიზაციიდან ნაკლები შემოსავალი იქნება და აქედან უნდა გადაიფაროს. საპრივატიზაციო რაც გვქონდა, ყველაფერი გაყიდა კახა ბენდუქიძემ. მე ამ ხელისუფლებისა მიკვირს, რატომ მიდის ისევ ძველი გზით? მაგალითად, თურქეთი ბოლო 10-15 წლის განმავლობაში განვითარდა ჩვენს თვალწინ. როდესაც თურქეთში ტყავის ქურთუკები და ჯინსები იკერებოდა, ხალხს უბრალო სამკერვალოები ჰქონდა გახსნილი 3-4 კვადრატულ მეტრ ფართებზე. მაშინ თურქეთის მთავრობამ ეს ხალხი საერთოდ გაათავისუფლა ყოველგვარი გადასახადისგან და პატარა სამკერვალოები იქცა უზარმაზარ ფაბრიკებად, დღეს ისინი მთელ მსოფლიოს ამარაგებენ. ჩვენთან რა ხდება? ახლა ლუდის მწარმოებელ გოგი თოფაძეს ურჩევნია, თავისი ლუდი აღარ ჩამოასხას და პირდაპირ „ბალტიკა“ შემოიტანოს. ან ჭუტა წერეთელმა რატომ უნდა დაამზადოს საქართველოში „პირველი“, როცა სიგარეტს უფრო სარფიანად შემოიტანს? წაიღებს აქედან თურქეთში აქციზს, დღგ-ს გადაიხდის საბაჟოზე და მორჩა. აქ რასაც წავამატებ, იმის დღგ-საც გადავიხდი რეალიზაციის შემდეგ, მაგრამ ამ შემთხვევაში ნერვებს აღარ ვიშლი და არც მუშები მყავს გასასტუმრებელი. მე ვამბობ იმას, რა გამოსავალი შეიძლება მოძებნონ მსხვილმა მეწარმეებმა. ერთი რამე ცხადია, ამ ეტაპზე ხელისუფლებისთვის უფრო მნიშვნელოვანია 9-მილიარდიანი ბიუჯეტი, ვიდრე ბიზნესისთვის ხელის შეწყობა.

გარდა ამისა, პენსიების საკითხიც ხელოვნურად მიაბეს ამ შემოსავლებს, თან 2015 წლის სექტემბრიდან იწყებენ, ბოლო 4 თვიდან. საერთოდ, პენსიის ბუნებრივი ზრდა დაკავშირებულია იმასთან, რამდენი ადამიანი საქმდება და რა რაოდენობით იზრდება საშემოსავლო გადასახადები. ამჯერად სამუშაო ადგილები კი არ იზრდება, საბიუჯეტო სამსახურებს ემატება დაფინანსება. ახლა იძახიან, საბიუჯეტო სამსახურებში ხელფასები რომ იზრდება, კერძო სტრუქტურებმაც უნდა გაზარდონო. კერძო სტრუქტურას ისედაც ბევრი გადასახადი აქვს და ძალიან ბევრი ხელფასებს ოფიციალურად ვერ ზრდის, აჩვენებს ცოტას და ხელზე აძლევს რეალურ ხელფასს, ანუ მალავს. უკვე მიდის დავა, ხელფასები გაზარდეთ, რომ ჩვენ მეტი საშემოსავლო მოგვცეთო. მე უკვე გითხარი, რას აკეთებდა მიშა სააკაშვილი – ის საბიუჯეტო ორგანიზაციებს არა მხოლოდ დაფინანსებას უმატებდა, კონტინგენტსაც ზრდიდა და საშემოსავლო გადასახადი გვაძლევდა საშუალებას, რომ პენსიები 10 ლარით გაგვეზარდა. ახლა ჩვენ დავაკვირდეთ, 2015 წლიდან აუცილებლად დაიწყება საჯარო სამსახურებში ხელფასების მომატება, რათა სექტემბერში პენსიონერს 10 ლარი მივცეთ. ყველაფერი ერთმანეთზეა აკინძული. დღეს უკვე მესმის განცხადებები, თუკი მინისტრებს და მათ ხელქვეითებს 10-12 ათასი ლარი აქვთ ხელფასი, კერძო სტრუქტურებს რაღა დაემართათო? რა დაემართათ და ახრჩობთ, შენ წარმოიდგინე, დღგ, საშემოსავლო და მოგების გადასახადი, საბოლოო ჯამში, 50-60 პროცენტს უბრახუნებს. ჩემი შემოსავლის 60 პროცენტი რომ ბიუჯეტში მიდის, ეს ძალიან მძიმეა. ზოგიერთს ურჩევნია, თანხები სხვადასხვა ხარჯებში გაწეროს და თანამშრომლები ასე დააკმაყოფილოს, ვიდრე თეთრად იმუშაოს. ამის შემდეგ აქეთ მიბრუნდები და მეუბნები, ხელფასებს რატომ არ ზრდიო? ასე არ შეიძლება! გამოვიდნენ და აუხსნან მოსახლეობას, პენსიონერებს საიდან უზრდიან პენსიებს, ქვეყანაში ახალი საწარმოები აშენდა თუ ფაბრიკა-ქარხნები ამუშავდა? არაფერი... ისევ ვიმეორებ, თვითონ იმატებენ ხელფასებს და რაც საშემოსავლო დაექვითებათ, იქიდან აგდებენ 10 ლარს. ახლა კიდევ ახალი რაღაც შემოიღეს, რასაც ყურადღებას დიდად არავინ აქცევს – ადრე ბიუჯეტი მტკიცდებოდა ასე: მაგალითად, მთავრობა რომელიმე სამინისტროს ეუბნებოდა, შენ გექნება 100 მილიონი, მაგრამ ეს უნდა მითარგმნო, ანუ უნდა დამისაბუთო, რაში დახარჯავ ამ ფულს. დავუშვათ, ენერგეტიკის სამინისტროში დასხდებოდნენ და დაასაბუთებდნენ, ამ ფულიდან გავცემთ ხელფასებს, გავაკეთებთ ამ პროექტს, იმ პროექტს და ასე შემდეგ. დღეს ფულზე აღარ არის ლაპარაკი, მხარჯავი სტრუქტურა ფინანსთა სამინისტროს აწვდის თავის პროგრამულ ბიუჯეტს, სადაც წერია, ამას გავაკეთებ, იმას გავაკეთებ და ამდენს მომცემთ ამ ყველაფერში. შენ შეგიძლია, ახლა ნებისმიერი სამინისტროს პროგრამული ბიუჯეტი წაიკითხო და მოკვდე სიცილით. მაგალითად, შეგიძლია დაწერო: მე მომავალ წელს ვაპირებ, ნარკომანიას გამოვუცხადო ბრძოლა და პრევენციის ღონისძიებების ჩასატარებლად მჭირდება 20 მილიონი. ერთი წლის განმავლობაში რაღაც ღონისძიებები ჩატარდება, მაგრამ ვერავინ ვერ გაიგებს, ნარკომანია შემცირდა თუ გაიზარდა, ამას აქვს გრძელვადიანი დრო. თან ძალიან ძნელია, ვინმეს რამეში შეედავო. პროგრამული ბიუჯეტი ისეთი რამეა, მე და შენ რამდენიც არ უნდა ვიკვლიოთ, ვერაფერს ვერ გავაწყობთ, ვერ დავამტკიცებთ, რა შედეგს გამოიღებს პრევენცია 5 წლის შემდეგ. მაგალითად, კულტურის სამინისტრო წერს, რეგიონებში სხვადასხვა ღონისძიებების ჩასატარებლად მჭირდება 400 ათასი ლარი. წადი მერე და არკვიე, რა ღონისძიებებია, რისთვისაა და რას ემსახურება? სხვათა შორის, მსოფლიო წამყვანი ქვეყნები სწორედ ასეთი პროგრამული ბიუჯეტებით ხელმძღვანელობენ, მაგრამ ჩვენთან ახალი ხილია და რასაც უნდათ, იმას აკეთებენ. ახლა რომ ვიღაცა გრძელვადიანი პროგრამისთვის 20 მილიონს წაიღებს, ამას ვიღაცა უნდა ჩაუჯდეს და 5-10 წლის შემდეგ მოიკითხოს, რა შედეგები მივიღეთ. 5-10 წლის შემდეგ რა ვითარება იქნება ქვეყანაში და ვის ემახსოვრება, ეგ სხვა საკითხია.

**„ახლა კიდევ ახალი რაღაც შემოიღეს, რასაც ყურადღებას დიდად არავინ აქცევს — ადრე ბიუჯეტი მტკიცდებოდა ასე: მაგალითად, მთავრობა რომელიმე სამინისტროს ეუბნებოდა, შენ გექნება 100 მილიონი, მაგრამ ეს უნდა დამისაბუთო, რაში დახარჯავ ამ ფულს... დღეს ფულზე აღარ არის ლაპარაკი, მხარჯავი სტრუქტურა ფინანსთა სამინისტროს აწვდის თავის პროგრამულ ბიუჯეტს, სადაც წერია, ამას გავაკეთებ, იმას გავაკეთებ და ამდენს მომცემთ ამ ყველაფერში... მსოფლიო წამყვანი ქვეყნები სწორედ ასეთი პროგრამული ბიუჯეტებით ხელმძღვანელობენ, მაგრამ ჩვენთან ახალი ხილია და რასაც უნდათ, იმას აკეთებენ. ახლა რომ ვიღაცა გრძელვადიანი პროგრამისთვის 20 მილიონს წაიღებს, ამას ვიღაცა უნდა ჩაუჯდეს და 5-10 წლის შემდეგ მოიკითხოს, რა შედეგები მივიღეთ“**



**„3-ლარიან სიგარეტს ემატება აქციზის 15 თეთრი, საბაზრო ღირებულების 5 პროცენტი, რაც 3 ლარზე ასევე არის 15 თეთრი და ამას ემატება დღგ, თუ ადრე ეს სიგარეტის ღირებულებაში შედიოდა, ახლა აქციზის გადასახადის დღგ ცალკე უნდა ვიანგარიშოთ, რაც 6 თეთრი გამოდის. საბოლოო ჯამში, ვიღებთ ზუსტად 36 თეთრს“**

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი...

## „ნაცმოძრაობა“ პროკურატურისგან ბაქოს ინციდენტის გამოძიებას ითხოვს



იუსტიციის სამინისტრომ „ნაციონალურ მოძრაობას“ გაუგზავნა წერილი, სადაც წერია, რომ აზერბაიჯანის სამართალდამცავი ორგანოს მიერ საქართველოს მოქალაქეების შესაძლო დანაშაულში მხილების შესახებ ინფორმაციის გავრცელება არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს.

წერილი წარმოადგენს პასუხს ირმა ნადირაშვილისა და ზურაბ ჯაფარიძის სარჩელზე, რომელიც ცილისწამებას შეეხება, პარლამენტის დეპუტატები საქართველოს ვიცე-პრემიერ კახი კალაძესა და აზერბაიჯანში საქართველოს ელჩს თეიმურაზ შარაშენიძეს უჩივიან.

ცნობისთვის, 19 ივნისს, საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსმა“ გაავრცელა ინფორმაცია აზერბაიჯანელი მესაზღვრეების მიერ საპარლამენტო უმცირესობის წევრების, ირმა ნადირაშვილისა და ზურაბ ჯაფარიძის შესაძლო დაკავების შესახებ, საზღვარზე ელექტროშოკური აპარატების და დიდი ოდენობით ფულადი თანხის გადმოტანის მცდელობის ფაქტზე. აღნიშნული ინფორმაცია აზერბაიჯანში საქართველოს ელჩმაც დაადასტურა და განაცხადა, რომ „დეპუტატებს არადეკლარირებული თანხა ჰქონდათ“.

საქართველოს ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემ მაშინ განაცხადა, რომ საპარლამენტო უმცირესობის წევრები ზურაბ ჯაფარიძე და ირმა ნადირაშვილი „აზერბაიჯანელმა მებაჟეებმა მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც თანხა დააბრუნეს“.

„ნაციონალური მოძრაობის“ განცხადებით, წერილი არ შეესაბამება მომჩივანების მიერ წაყენებულ მოთხოვნებს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ომბუდსმენი ემზარ და ნორა კვიციანების საქმეზე მომზადებულ ანგარიშს გადახედავს



სახალხო დამცველი ემზარ კვიციანისთვის 12-წლიანი პატიმრობის შეფარდებას გამოეხმაურა.

ნანუაშვილი არ გამორიცხავს, რომ გარკვეული პროცედურული დარღვევები იყო, თუმცა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე დეტალურ განმარტებას არ აკეთებს.

ომბუდსმენი სოზარ სუბარის სახალხო დამცველობის დროინდელ კვიციანის საქმეზე მომზადებული ანგარიშის გადახედვას გეგმავს.

„მე ვერანაირ შეფასებას ვერ მივცემ სასამართლოს გადაწყვეტილებას. უნდა ინახოს კონკრეტული ანგარიშები, რომელიც იყო მომზადებული სოზარ სუბარის სახალხო დამცველად ყოფნის პერიოდში. აქ საუბარია როგორც ემზარ კვიციანის, ასევე მისი დის საქმესთან დაკავშირებით, რადგან, როგორც ჩემთვის ცნობილია, იმ დროს საქმეში გარკვეული დარღვევები იყო“, – აცხადებს ნანუაშვილი. (ნიუპოსტი)

# პროკურატურა „რუსთავი 2“-სა და „იმედში“ „შედის“?

**„უფლებადამცველთა გაერთიანების“ ხელმძღვანელის ნიკოლოზ მჟავანაძის თქმით, მალე იმაზე მეტი სკანდალი აიწევა, ვიდრე აქამდე ციხის კადრებმა გამოიწვია: ტელეკომპანიებში პროკურატურა შევა და თუ რატომ, ამას ახლავე გაიგებთ.**

**„ალიას“ ნიკოლოზ მჟავანაძე ესაუბრა:**

– ამ დღეებში „რეპორტიორის“ გენერალურმა დირექტორმა გიორგი მამაცაშვილმა გამოაქვეყნა აუდიოჩანაწერები, სადაც ისმის „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის, აწ გარდაცვლილი გოგი გეგეშიძის ხმა, ასევე „იმედის“ ჟურნალისტების: რუსუდან ცხომელიძის, ზაზა წულაძის, დაჩი გრძელიშვილისა და სხვების ხმები. ამ საუბრებში მონაწილეობენ ყოფილ ხელისუფლებასთან დაახლოებული ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტები, რომლებიც მოქმედებდნენ გივი თარგამაძის სახელით. აქ იკვეთება, ასევე, სხვა „ნაციონალი“ მაღალჩინოსნებიც, რომლებიც „იმედის“ ჟურნალისტებისგან მოითხოვენ, რომ მათ დატოვონ „იმედი“. აქ საუბარია ასევე ჩარიცხულ 200 000 ამერიკულ დოლარზე, რომელიც გივი თარგამაძის დავალებით გადაირიცხა ვინმე კახა კეკელიძის ანგარიშზე, მოგვიანებით კი ეს თანხა გოგი გეგეშიძის ანგარიშზე მოხვდა. შეგახსენებთ, 2007 წელია, როცა დიდი ზეწოლა ხდება პატარკაციშვილის ტელეკომპანიაზე და ყველას გვახსოვს, რომ შემდგომში „იმედის“ ბირთვმა დატოვა ტელეკომპანია და ესენი ზემოჩამოთვლილი ჟურნალისტები არიან. ასევე, გვახსოვს მათი მაშინდელი მოტივაცია, რომ ჟურნალისტებისთვის მიუღებელი იყო, რომ მათი მეპატრონე ბადრი პატარკაციშვილი მიდიოდა პოლიტიკაში და მათ არ სურდათ პოლიტიზებულ მედიაში ყოფილიყვნენ. პირდაპირ გეტყვით, რომ ძალიან მალე დიდი სკანდალი გველის და ეს იქნება ციხის სკანდალზე უფრო ძლიერი სკანდალი! ყველა ხომ ვლაპარაკობდით, რომ ციხეში გაუპატიურებები ხდებოდა, მაგრამ სანამ საზოგადოებამ საკუთარი თვალით ძალადობის სცენები არ ნახა, მანამდე შოკი არ ყოფილა. კონკრეტული ფაქტები არ გაგვაჩნდა, ვისზე რა ხორციელდებოდა და ახლა გეტყვით მთავარს: ამ ფაქტთან დაკავშირებით პროკურატურაში შეტანილია განცხადება და ასევე ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ სულ მალე ამ ტელეკომპანიებში „რუსთავი 2“-სა და „იმედში“ შევა პროკურატურა და დაიწყება საგამოძიებო მოქმედებები, რადგანაც პროცედურულად კანონი ამას ითვალისწინებს. ასევე, დაიწყება დაკითხვები ჟურნალისტებისა და ხელმძღვანელი პირებისა, არ გამოვრიცხავ, რომ უახლოეს პერიოდში დაისვას მედიაში მოქმედი მაღალი თანამდებობის პირებისა და „ნაციონალური მოძრაობის“ სახელისუფლებო წრეების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი. ვინაიდან ფაქტი სახეზეა, რომ ხდება სამოხელეო დანაშაული: სამსახურებრივი მოვალეობისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონო ხელის შეშლა, იძულება, თავისუფლების ხელყოფა. აი, ეს დანაშაულები იკვეთება, როცა ჟურნალისტებზე პირდაპირი ზეწოლა მოხდა და ამის გამო მათ დატოვეს ტელეკომპანია. ეს იყო სისტემური დანაშაული და, ჩემი აზრით, მარტო „იმედზე“ არ ყოფილა ზეწოლა, აქ სხვა ტელეკომპანიებზეც იქნებოდნენ ჩართულები, რადგანაც ასეთი მეთოდით მუშაობდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები. ამიტომ ვფიქრობ, უახლოეს დღეებში ბევრმა ჟურნალისტმა შეიძლება, თავის კარიერას წერტილი დაუსვას.

**— რატომ, თუკი ისინი ზეწოლის მსხვერპლნი იყვნენ?**

– თუ დაფიქსირდა, რომ მათ ნებით ითანამშრომლეს, რადგანაც სულ მალე გაირკვევა, მათ თანხები ნებით აიღეს თუ არა მაშინდელი „ნაციონალების“ მხრიდან. და თუ ისინი თანამშრომლობაში შევიდნენ იმ ხელისუფლებასთან, მათი პასუხისმგებლობის საკითხი ნამდვილად დაისმება.

**— პროკურატურა დაინტერესდება მხოლოდ იმ ხალხით, ვინც მაშინდელი „იმედიდან“ წამოვიდა, თუ სხვებითაც?**

– ცხადია, სხვებითაც, რადგანაც ეს ნაწილია სისტემისა. ამ ჩანაწერებით ჩვენ მხოლოდ ნაწილი ვიხილეთ ადამიანებისა, მაგრამ აქ სხვა ხმებიც ისმის და აქვე ვიტყვი, რომ აქ, შესაძლებელია, „რუსთავი 2-“ზეც იყოს საუბარი და გამოძიებამ უნდა გამოკვეთოს ეს საკითხი. ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ მაშინდელი ოპოზიციური ტელევიზიები, იგივე „მზე“ და სხვები ჯერ სიმართლეს ამბობდნენ და მერე ან შეცვალეს რიტორიკა, ან დაიხურნენ. აქ საუბარი იმაზეა, როგორ ხდებოდა თანხების გადარიცხვა-გადმორიცხვა. 2012 წლის შემდეგ გავიდა კიდევ ორი წელი და ამ საკითხებთან დაკავშირებით რატომ არავის უსაუბრია? ანუ, ჩვენ მხოლოდ აუდიოფირი ვნახეთ და ამის შესახებ მხოლოდ ახლა გავიგეთ? მაქვს ინფორმაცია ისევ ამ ჟურნალისტებისგან, როგორ მიჰყავდათ სოდსა და კუდ-ში წამყვანი ტელეკომპანიების ჟურნალისტები და როგორ ავარჯიშებდნენ მათ, თუ როგორ უნდა დამდგარიყო კამერა და, როგორ უნდა გადმოეცათ ჟურნალისტებს რეპორტაჟები, როგორი ინფორმაცია უნდა გადმოეცათ, რა ინტონაციით და მახვილებით...



**— რა, სპეციალური ტრენინგები უტარდებოდათ?**

– სწორედაც, გარდა ამისა, კარგად ვიცით, როგორ აფინანსებდა სააკაშვილი პრეზიდენტის ფონდიდან არა მარტო ჟურნალისტებს, არამედ მათი ოჯახების წევრებს და აძლევდა დიდძალ დახმარებას, როცა მათ რამე პრობლემა შეექმნებოდათ. დღემდე ეს ჟურნალისტები არიან იმ ნაცსატელიტ ტელევიზიებში, რომლებიც დღესაც პროპაგანდას ეწევიან „ნაციონალური მოძრაობისა“, ანუ მთელი სისტემა იყო ჩართული ამ ამბებში და ჩვენ კარგად ვიცით, რომ ის ჟურნალისტები, რომლებსაც რადიკალური განწყობილებები ჰქონდათ, როგორ უცებ შეიცვალნენ: ზოგმა ტოქშოუების წაყვანა დაიწყო, უფრო წესიერმა კი სხვაგან დაიწყო მუშაობა. მაგრამ ჩემთვის საინტერესოა, რომ ამ ჟურნალისტებისგან ამ დღეებში გავრცელებული ამ ფირის შემდეგ, არ მომისმენია, სინამდვილეში იყო თუ არა ზეწოლა? „რუსთავი 2“-ს არც ერთი სიუჟეტი არ გაუშვია ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით და რა, ერთი ნიუსი მაინც არ უნდა მისცე? ჩვენ, უფლებადამცველები, ამ საკითხთან დაკავშირებით კი არ ვითხოვთ, მოვითხოვთ პროკურატურისგან ამ ფაქტების გასაჯაროებას და არა ისე, ალასანიას სამინისტროზე იმდენს რომ ვყვიროდით, რომ იქ სისხლის სამართლის დანაშაული ხდებოდა და რომ იქ მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დამდგარიყო და მხოლოდ ერთი წლის შემდგომ აღიძრა საქმე? უნდა დაიწყოს ინტენსიური გამოძიება, რადგანაც ეს ფრაზები, რაც ისმის, ეს ჟურნალია, კინო წინ გველის. ვიმეორებ, თითქმის ყველა ტელეკომპანია იყო ჩართული. როგორ, „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი საუბრობს, რომ, თუ მე არ ავიღებ თანხას, დამბრიდავენო და გესმით, რა ხდებოდა? ეს ტელეკომპანია იყო „ნაციონალების“ აქტიური სატელიტი, რადგანაც ის ცხრა წელი, რასაც გადმოსცემდა, ჩვენ ყველამ კარგად ვიცით და თურმე როგორი ზეწოლის საფუძველზე ყოფილან ეს ჟურნალისტები და მაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეტყობა, „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტებზეც რეალურად მიდიოდა შანტაჟი, ისევე, როგორც „იმედის“ ჟურნალისტებზე.

**— მაპატიეთ მაგრამ თუ მაშინ აშანტაჟებდნენ, ახლა რა უშლით ხელს? წამოსულიყვნენ იქიდან და უარი ეთქვათ ამაში მონაწილეობაზე.**

– მგონია, რომ წამოსვლა ასე ადვილი არ იქნებოდა. ჟურნალისტებმა უნდა გასცენ პასუხი კითხვას: ფირებში ხსენებული ფული მათ აიღეს, თუ არ აიღეს? „რუსთავის“ უფროსს ემუქრებიან „დაბრედვით“ და სხვა ჟურნალისტებს რას უზამდნენ? აქედან გამომდინარე, თანხების აღება მოხდა, თუ არა, ამას ყველაფერს ვიხილავთ და, დღეს რომ „ნაციონალები“ მთელი მსოფლიოს გასაგონად გაჰკივიან, მედიას პრობლემები ექმნებაო, ესაა საოცარი, ხომ ჩანს, როგორც ექცეოდნენ ისინი თავის დროზე მედიას? ასე რომ, სულ მალე ფაქტებით ყველაფერს გავიგებთ.

**ამის შემდეგ ვუკავშირდებით „იმედის“ მაშინდელ თანამშრომელს დაჩი გრძელიშვილს და ვაცნობებთ, რომ საქმე გადაცემულია პროკურატურისთვის.**

– ხოდა, სჯობია, აწი კომენტარი გააკეთოს პროკურატურამ. სამწუხაროდ, მეტს ვერაფერს გეტყვით. ვიმეორებ, ამაზე სჯობია, პროკურატურამ იმსჯელოს.

**— აუდიოჩანაწერში თანხის აღებაზე იყო საუბარი და კითხვა უნდა დავსვა: თქვენ აიღეთ მაშინ თანხა?**

– მე არავითარი თანხა მაშინ არ ამიღია და ვინც აიღო, იმ ჩანაწერებში კარგად ჩანს და ეს უკვე კომენტარი გამომივიდა (ეცინება). დაველოდოთ პროკურატურას.

**გიორგი ლაფერაშვილი, „რუსთავი 2“-ის გენერალური პროდიუსერი:**

– ვიცი მაგ ჩანაწერების შესახებ და მაშინ, 2007 წლის ნოემბერში ნამდვილად სხვა დირექტორი ჰყავდა „რუსთავი 2“-ს და აბა, რა გავაკეთო?

**— რატომ ერთი სიუჟეტი მაინც არ მიეძღვნა ჩანაწერებს ამ დღეებში თქვენს კომპანიაში?**

– მაგრამ ამბები ჯერ ხომ არ დამთავრებულა? ყველა ამბის გასაშუქებლად არ მყოფნის ადგილი.

**— ისეთებს აშუქებთ, საერთოდ რომ არ გეხებათ და ჩემს კითხვაზე უცნაური პასუხი მესმის თქვენგან. იცით, რომ პროკურატურა შემოვა თქვენთან ამ დღეებში?**

– გოგი გეგეშიძე არ იყო გენდირექტორი მაშინ და თუ გინდათ, გადაამოწმეთ. რამდენი საჩივარია შესული პროკურატურაში, ნეტა ყველა გამოიძიონ, მეც მაგის იმედი მაქვს.

»» თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი...




## პრემიერი ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის შემოღებას ასახელებს

პრემიერ ღარიბაშვილის განცხადებით, „ჩვენ იმედით ვუყურებთ დეკემბერში ევროპარლამენტის მიერ ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირებას, რასაც უდიდესი საკანონმდებლო, პოლიტიკური და სიმბოლური მნიშვნელობა აქვს“. მთავრობის მეთაურმა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასოცირების ხელშეკრულება საქართველოს ევროპეიზაციის გენერალურ გეგმას წარმოადგენს, რომლის ეფექტურ განხორციელებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

„ჩვენი მთავარი პრიორიტეტია დემოკრატიის კონსოლიდაცია, კანონის უზენაესობისა და სამაგალითო მმართველობის განმტკიცება, მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობისა და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის უზრუნველყოფა. ამ მიზნით, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ასოცირების ხელშეკრულების განხორციელებით საქართველო საბოლოოდ იქცევა სტაბილურ და ქმედით პლურალისტული დემოკრატიის ქვეყნად, რომელშიც უზრუნველყოფილია კონტროლისა და ბალანსის ეფექტური მექანიზმები და ძლიერი დემოკრატიული ინსტიტუტები“, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერმა ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის შემოღება დაასახელა და ხაზი გაუსვა საქართველოს მიერ ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის პირველი ფაზის წარმატებით დასრულებას. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სოფელ საკორინთლოდან რუსმა ოკუპანტებმა 72 წლის მამაკაცი დააკავეს



კასპის რაიონის სოფელ საკორინთლოდან ოკუპანტებმა 72 წლის მამაკაცი გაიტაცეს. დიმიტრი ანანიაშვილი იმ დროს დააკავეს, როდესაც ის საქონელს მწყემსავდა. ის, სავარაუდოდ, საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით არის დაკავებული. კასპის გამგეობა რუსულ მხარესთან მამაკაცის განთავისუფლებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს აწარმოებს. (ნიუპოსტი)



## „კვიციანის ოჯახს უფლება აქვს, გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივროს“

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ემზარ კვიციანის განაჩენის შემდეგ ოჯახის პრეტენზიებს ეხმაურება.

„მათი უფლებაა, ჰქონდეთ პრეტენზია და ასევე, მათი უფლებაა, თუ უკმაყოფილონი არიან, გააგრძელონ განხილვა სასამართლოში იმ კუთხით, რომ გაასაჩივრონ ეს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში. შემდეგ, თუ კიდევ უკმაყოფილონი იქნებიან, უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრონ. სამივე ინსტანცია ობიექტურად და ყურადღებით განიხილავს ნებისმიერ საქმეს, მათ შორის ამასაც“, – განაცხადა კუბლაშვილმა. (ნიუპოსტი)

## მათემატიკის გაკვეთილი დავით ნარმანიას „ნაციონალებისგან“



„ნაციონალური მოძრაობა“ თბილისის მერიის მიერ კომუნალურ ვაუჩერებთან დაკავშირებით გავრცელებულ განცხადებას ეხმაურება.

როგორ პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, დავით ნარმანია თბილისის მოსახლეობას „ურცხვად ატყუებს“.

„საკრებულოს უმცირესობის წევრებმა გაავრცელეს ცრუ ინფორმაცია, თითქოს 2015 წლიდან თბილისში რეგისტრირებული ოჯახების კომუნალური სუბსიდირების პროგრამის ბიუჯეტი მცირდება. რეალურად, 2015 წლიდან სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის არსებული შეღავათები გაორმაგდება და, 250 ლარის ნაცვლად, მათზე 500-ლარიანი სუბსიდია გაიცემა, ხოლო ყველა დანარჩენ ოჯახს 2015 წლის პირველი 3 თვის განმავლობაში, ჩვეულებრივ ჩაერიცხება 20 ლარი თვეში, როგორც ეს წინა წლებში ხორციელდებოდა.

გვინდა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ თბილისის 2015 წლის ბიუჯეტის პროექტით კომუნალური ვაუჩერის დაფინანსება ჯამურად მცირდება 6 904 500 ლარით და აქედან გამომდინარე, თითოეული ოჯახი (გარდა 70 000 სარეიტინგო ქულამდე სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრირებული ოჯახებისა) ნაცვლად 100 ლარისა (თვეში 20 ლარი), მიიღებს 50 ლარს (თვეში 10 ლარი). ამის დასტურია თბილისის ბიუჯეტი, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ კომუნალური ვაუჩერი 50 ლარის ოდენობით დაურიგდება 384 126 ოჯახს და შესაბამისად, ჯამურად ამ მიზნით (ანუ გარდა 70 000 ქულამდე სოციალურად დაუცველებისა) ბიუჯეტში გაწერილია 19 206 300 ლარი. ახლა მორიგი მათემატიკის გაკვეთილი დავით ნარმანიასთვის: სამი თვის განმავლობაში ჩარიცხული 20 ლარი, ჯამში, 60 ლარია (20X3=60); 60 მეტია 50-ზე; შესაბამისად, დასკვნაც ნათელია, ნაცვლად საკუთარი შეცდომის აღიარებისა, დავით ნარმანია მართლაც ურცხვად ატყუებს მოსახლეობას და ის თეორიულადაც ვერ შეძლებს ბიუჯეტში ცვლილების გარეშე 60 ლარის (წლის პირველი სამი თვის განმავლობაში 20-20 ლარი) დარიგებას, როდესაც ბიუჯეტში სულ 50 ლარია გათვალისწინებული“, – აღნიშნულია განცხადებაში. (ნიუპოსტი)



## „სისხლის სამართლის გამოძიებები პოლიტიკური მოტივაციისგან დამოუკიდებელი უნდა იყოს“

ევროკომისარ ფედერიკა მოგერინის განცხადებით:

„სისხლის სამართლის გამოძიებები და სამართლებრივი დევნა კონკრეტულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული, გამჭვირვალე, პოლიტიკური მოტივაციისგან დამოუკიდებელი უნდა იყოს. უნდა იცავდეს მკაცრად სათანადო პრინციპებს იმ ვალდებულებების შესაბამისად, რომელიც საქართველოს ასოცირების შეთანხმებით აქვს აღებული.

პროკურატურა მკაცრად უნდა მიჰყვეს სამართალზე დაფუძნებულ პროცესს და მტკიცებულებები პროფესიონალურად მოამზადოს.

პოლიტიკოსებმა თავი უნდა შეიკავონ, მიმდინარე გამოძიებებსა და სასამართლო პროცესებზე კომენტარისგან. აღმასრულებლებმა კი სასამართლოს გადაწყვეტილებას პატივი უნდა სცენ.

მივესალმებით ადამიანის უფლებების ეროვნული სტრატეგიის მიღებას და ადამიანის უფლებების სამოქმედო გეგმას, რომელიც ანტიდისკრიმინაციულ კანონსაც მოიცავს. ასევე, მივესალმებით ადამიანის უფლებათა საბჭოს ჩამოყალიბებას“, – განაცხადა მოგერინიმ. (ნიუპოსტი)

## აუდიტი მთავრობის ადმინისტრაციაში, სასჯელაღსრულების სამინისტროსა და შსს-ს მთავარ სამმართველოში შევა



წლის ბოლომდე სახელმწიფო აუდიტის სამსახური მთავრობის ადმინისტრაციაში, სასჯელაღსრულების სამინისტროსა და შსს-ს მთავარ სამმართველოში შევა. გენერალური აუდიტორის ლაშა თორდიას განცხადებით:

„დაახლოებით თვე-ნახევარში შევალთ მთავრობის კანცელარიაში, სასჯელაღსრულების სამინისტროსა და შსს-ს მთავარ სამმართველოში. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით ველოდებით იმ ჯგუფის განთავისუფლებას, რომელიც ახლა თავდაცვის სამინისტროში მუშაობს. სწორედ მას ეხება სამართალდამცავი სისტემა. მთავრობის კანცელარია სხვა დეპარტამენტის საკურაციო სფეროა. ისიც დაახლოებით ამ პერიოდში შეძლებს შემოწმების დაწყებას. სამივე უწყებაში წლის ბოლომდე შევალთ“, – აღნიშნა თორდიამ.

გენერალური აუდიტორის თქმით, აღნიშნული სამი უწყებიდან არც ერთ მათგანს აუდიტის სამსახურისთვის ფინანსური საქმიანობის შესწავლა თავად არ უთხოვია. (რეპორტიორი)

## „თავდაცვის სამინისტროში 2011-2012 წლებში სერიოზული დარღვევები იყო“



პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილის განცხადებით:

„მე ზოგადად მაქვს ინფორმაცია, რომ სერიოზული დარღვევები იყო 2011-2012 წლებში. 2013 წელთან დაკავშირებით არ შემიძლია გავაკეთო განცხადებები, რამდენადაც ეს ყველაფერი ნდობის ჯგუფის ფორმატში განიხილება, როდესაც დამთავრდება ნდობის ჯგუფის შეხვედრა, მაინც ვერანაირ კონკრეტულ ინფორმაციას ვერ მოგცემთ. დაგიდასტურებთ თავად ლაშა თორდიას განცხადებიდან იმას, რომ პროკურატურაში გარკვეული მასალა გადაგზავნილია, რომელიც 2011-2012 წლებს შეეხება“, – განაცხადა სესიაშვილმა. (რეპორტიორი)

## რაგბის განვითარებაზე ბიძინა ივანიშვილმა დაახლოებით 100 მლნ ლარი დახარჯა



საქართველოში რაგბის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის რაგბის საერთაშორისო საბჭომ (IRB) საქართველოს ყოფილი პრემიერი ბიძინა ივანიშვილი დააჯილდოვა. საბჭო განმარტავს, რომ ბიძინა ივანიშვილის საქველმოქმედო ფონდმა „ქართუმ“ საქართველოში 23 სარაგბო ინფრასტრუქტურული პროექტი განახორციელა, მათ შორის ააშენა საწვრთნელი ცენტრები და სტადიონები. **IRB**-ის ცნობით, ივანიშვილმა 2008 წლიდან მოყოლებული რაგბიზე დაახლოებით 100 მილიონი ლარი დახარჯა. (რეპორტიორი)

## „თუ ზურაბ ჟვანიას სისხლჩაქცევები აღენიშნებოდა, ექსპერტიზამ არსებული სიტუაცია არ უნდა მიჩქმალოს“



საქალაქო სასამართლოში ექსპერტ ლევან ჩაჩუას წინააღმდეგ მიმდინარე საქმეზე დაკითხვისას ზურაბ ჟვანიას მეუღლემ ნინო ქადაგიძემ განაცხადა:

„ზურას საქმეზე ძალიან ბევრი შეკითხვაა. როცა ამდენი შეკითხვაა, ექსპერტიზა უნდა ჩატარდეს ზუსტად, რომ პასუხები იყოს გაცემული. თუ სისხლჩაქცევებია, ექსპერტიზამ უნდა დაადგინოს, რის გამო იყო ეს. ამომწურავი პასუხები უნდა გაეცეს და არ იყოს ჩატარებული ისე, რომ მინიმუმ მიიჩქმალოს არსებული სიტუაცია“, – განაცხადა ნინო ქადაგიძემ.

ქადაგიძემ ასევე აღნიშნა, რომ საგამოძიებო პროცესი მიმდინარეობს სამუშაო გარემოში და ეს საქმე სანახაობად არ უნდა იქცეს.

პროცესზე მას შეკითხვა დაუსვეს, შენიშნა თუ არა მეუღლის ცხედარზე დაზიანებები. როგორც ნინო ქადაგიძემ აღნიშნა, დაზიანებები არ უნახავს. შენიშნა მხოლოდ ლაქები. ტუჩზე ნაჭდევი კი ნახა გამოძიების მასალებში არსებულ ფოტოზე. (რეპორტიორი)



## ფოთში საპროტესტო აქცია გაიმართა

ფოთში საპროტესტო აქცია გაიმართა. ერთი საათის განმავლობაში გადაკეტილი იყო გაფორმების ეკონომიკურ ზონამდე მისასვლელი გზა. აქცია ყოფილი სასწავლო ცენტრის შენობაში მცხოვრებმა დევნილებმა და სოციალურად დაუცველებმა მოაწყვეს. ისინი შენობაში ელექტროენერგიის ჩართვას მოითხოვენ.

ადგილზე ხელისუფლების წარმომადგენლები მივიდნენ. მათი განცხადებით, შენობა ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა და 40-მდე ოჯახი იქ უკანონოდ არის შეჭრილი, თუმცა ისინი პრობლემის მოგვარებას შეეცდებიან. (ინტერპრესნიუსი)

## სარფში კინოლოგიური ცენტრის ძაღლებმა ნარკოტიკი აღმოაჩინეს



„სარფის“ კონტროლის ზონაში საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა კინოლოგიური ცენტრის ძაღლების მეშვეობით ნარკოტიკების შემოტანის ფაქტი აღკვეთეს.

შემოსავლების სამსახურის ცნობით, „სარფის“ კონტროლის ზონაში თურქეთის რესპუბლიკის მხრიდან შემოვიდა „მერსედესის“ მარკის სამგზავრო ავტობუსი, რომელიც მოძრაობდა მარშრუტით სტამბული-თბილისი.

ავტობუსის დათვალიერებისას, საბაჟო დეპარტამენტის კინოლოგიური ცენტრის ძაღლების მეშვეობით, მებაჟე ოფიცრებმა აღმოაჩინეს 7 გრამი მარიხუანა. ნარკოტიკული ნივთიერება საქართველოს მოქალაქე თ. ხ.-ს ეკუთვნოდა, რომელიც აღნიშნული ავტობუსით მგზავრობდა.

საქმე შემდგომი რეაგირებისთვის საქართველოს შსს აჭარის მთავარი სამმართველოს გონიოს პოლიციის განყოფილებას გადაეცა. (ინტერპრესნიუსი)

# რას აპირებს და რისთვის ემზადება არასაპარლამენტო ოპოზიცია, თუკი საარჩევნო კოდექსი არ შეიცვლება?

„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის გიორგი ახვლედიანის განცხადებით, ხელისუფლებას არანაირი პოლიტიკური ნება არ გააჩნია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის.

„თვეზე მეტია, „გაერთიანებული დემოკრატები“ ხელისუფლებას მოვუწოდებთ, რომ იმ პროცესის პარალელურად, რომელსაც ახლა აქვს ჩვენს ქვეყანაში ადგილი მოსახლეობის აღწერის სახით, ბიომეტრიული ტექნოლოგიით საარჩევნო სიების ფორმირებაც მომხდარიყო. ამისთვის კი, საჭირო იყო მხოლოდ და მხოლოდ ის, რომ ადამიანები, ვინც აღწერის პროცესს ტექნიკურად უზრუნველყოფდნენ, აღგვეჭურვა შესაბამისი ფოტოაპარატურით, მაგრამ, სამწუხაროდ, ხელისუფლებამ ამ მიმართულებით ნაბიჯი არ გადადგა. ეს მეტყველებს იმაზე, რომ „ქართული ოცნება“ აპირებს, გააგრძელოს ზუსტად იგივე გზა, რა გზამაც



წინა ხელისუფლება იმ კატასტროფამდე მიიყვანა, რომელშიც ისინი დღეს არიან“.

„ალიას“ გიორგი ახვლედიანი ესაუბრა:

**— ბატონო გიორგი, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, გასულ წელს ინტერფრაქციულ რეჟიმში მუშაობდით ხელისუფლებასთან ერთად. დღევანდელი „ოცნების“ წარმომადგენლები თავის დროზე ბიომეტრიული წესით ითხოვდნენ არჩევნების ჩატარებას. ახლა უარს რით ხსნიან, რას ამბობენ?**

– ამ თემაზე საუბარი ყველაზე აქტიურად დაიწყო 2010 წლიდან, როდესაც პოლიტიკური „რვიანი“ შეიქმნა. შემდეგ, როცა ხელისუფლებაში მოვიდა ის პოლიტიკური ძალა, რომელიც ამას ერთხმად ითხოვდა, მოლოდინიც შეიქმნა, რომ ისინი ამ იდეას განახორციელებდნენ, რადგან უკვე არაფერს არ უნდა შეეშალა ხელი ამ ყველაფრისთვის. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, სასწრაფოდ, ერთ კვირაში დავიწყეთ ამ საკითხზე მუშაობა, შევქმენით ინტერპარტიული ჯგუფი. ბიომეტრიული ტექნოლოგიით საარჩევნო სიების ფორმირება არ არის მარტივი პროცესი, ბევრ ტექნიკურ და ფინანსურ საკითხს მოიცავს. ამ სამუშაო პროცესში აღმოვაჩინეთ, რომ ხელისუფლება მზად არ იყო ამ საკითხის მოსაგვარებლად. ისე გაწელა პროცესი, რომ ბოლოს არჩევნებამდე ორი თვე დარჩა და ხელისუფლებამ გამოაცხადა, რა ვქნათ, ვეღარ ვასწრებთ რაიმეს შეცვლასო. როგორც კი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები დასრულდა, დავიწყეთ ამ საკითხზე მუშაობა ინტერპარტიულ რეჟიმში 2 წლით ადრე, რომ მერე არ ჰქონდეს სათქმელად ხელისუფლებას, რომ დრო არ არის და ვერ ვასწრებთო.

ბიომეტრიული სიების მოწესრიგება იოლი არ არის, ყველაზე რთულია ჩვენი ამომრჩევლისთვის ბიომეტრიული ფოტოსურათის გადაღება მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამას სჭირდება სპეციალური ჯგუფების შექმნა, ხალხის მობილიზება, ხელფასები, სპეციალური აპარატურა... ეს ყველაფერი, რამდენიმე მილიონს უკავშირდება. 2012 წლამდე ამ საკითხის ფინანსურ უზრუნველყოფას ბიძინა ივანიშვილი გვპირდებოდა, ოღონდაც „ნაციონალური მოძრაობა“ დაგვთანხმდეს შეცვლაზე და ბიუჯეტს ეს კაპიკი არ დაუჯდებაო... მაგრამ, საბოლოოდ, ისე მიიმალა კულუარებისკენ და ისე შევიდა თავის სასახლეში, რომ სიტყვა არ დაუტოვებია ამ საკითხზე. შესაბამისად, რადგან ისევ ბიუჯეტის იმედზე დავრჩით, ხელისუფლებას შევთავაზეთ, მოდით, გავაიაფოთ ხარჯები და რადგან მოსახლეობის აღწერას ვატარებთ, ბარემ, პარალელურ რეჟიმში აღვჭურვოთ აღმწერები ფოტოაპარატებით, რომლებიც ფოტოსურათს გადაუღებენ ამომრჩეველს. ეს კი მოგვცემს იმის საშუალებას, რომ ამომრჩეველთა 80-90%-ის ფოტოსურათები გვქონოდა ხელთ და მაშინვე ვთქვით, რომ, თუ ხელისუფლება ამ რეალურ შანსს არ გამოიყენებდა, ცხადი გახდებოდა, რომ ხელისუფლებას ამ საკითხის მოგვარების პოლიტიკური ნება არ გააჩნია. ასეც მოხდა, ყველა ხედავს, რომ ხელისუფლებამ ეს შანსი არ გამოიყენა.

**— ბიომეტრიულ სიებზე ზვიად ძიძიგურიც საუბრობდა. ეს რომ შესთავაზეთ ხელისუფლებას, ხომ არ გისაუბრიათ მას მერე ზვიად ძიძიგურთან? რა თქვა, ამჯერად ფოტოაპარატების ფული არ გვაქვსო?**

– ზვიად ძიძიგური ინტერფრაქციული ჯგუფის ხელმძღვანელი იყო შარშან და მისგან ვითხოვდით პასუხს, ერთ რამეს ვისმენდით – იცით, რა? ეს არ არის მარტო ჩემი გადასაწყვეტი საქმე, ეს არის გუნდურად გადასაწყვეტი, ეს კოალიციაა და ეს საკითხი კოალიციის საბჭომ უნდა გადაწყვიტოსო. ამჯერად აღარ მისაუბრია, მეეჭვება, მიდგომა შეეცვალა.

**— დაახლოებით ერთი თვეა, ინტერპარტიულ რეჟიმში მუშაობთ 16 პოლიტიკური პარტია საარჩევნო სისტემის გაუმჯობესებაზე. ამ პერიოდის განმავლობაში ხელისუფლებასთან თუ კონტაქტობთ?**

– ჯერ აქვს ხელისუფლებას იმის დრო, რომ ჩვენთან დისტანციაში იყოს, რადგან ის ელოდება ჩვენს მიერ მიწოდებულ შეთავაზებას. ერთადერთი რამ, რაც მოსმენილი მაქვს ხელისუფლებისგან საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით ბოლო პერიოდში, ეს იყო გია ვოლსკის კომენტარი – ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა წარმოაჩინა, რომ თურმე, ძალიან კარგი საარჩევნო სისტემა გვქონია და თუ რამეა შესაცვლელი, გვითხრან და დავფიქრდებით შეცვლაზეო.

**— როდის შესთავაზებთ თქვენს ვარიანტს ხელისუფლებას, ან რაზე ხართ შეჯერებული ამ ეტაპზე?**

– ჩვენ გვინდა მივაღწიოთ იმას, რომ, რამდენ პროცენტსაც ავიღებთ არჩევნებში, იმდენი პროცენტით შევიდეთ პარლამენტში. ამის მერე, უკვე მოუწევს ხელისუფლებას, პასუხი გაგვცეს. ჯერჯერობით ხელისუფლება უცნაურ პოზაშია, ხმას არ იღებს, მაგრამ ამას დიდხანს ვერ გააგრძელებს. უახლოეს დღეებში, ჩვენ დავდებთ საბოლოო ვარიანტს სისტემის ცვლილების თაობაზე, გადავუგზავნით ხელისუფლებას ამას და მოვთხოვთ კონკრეტულ პასუხს.

**— თუ თქვენს წინადადებებს არ გაითვალისწინებენ, მერე რას აპირებთ?**

– გამოვიყენებთ ყველა კანონიერ გზას და ხელისუფლებას მივაყენებთ ძალიან სერიოზულ ზიანს შემდეგი თვალსაზრისით – მთელ საერთაშორისო საზოგადოებასა და საქართველოს ყველა მოქალაქეს გავაგებინებთ, როგორ მოგვატყუა ხელისუფლებამ. ნამდვილად არ ვისურვებდი, რომ ამ მოგვარებადმა თემამ მიიღოს საზოგადოების მღელვარების ფორმა და ეს საკითხი ქუჩაში მოთხოვნადი გახდეს.

**— მოსახლეობის აღწერის დროს „საქსტატის“ თანამშრომელთა მიერ ანკეტების შევსებისას ფანქრების გამოყენება გააპროტესტეთ. თუ დაკავშირებიხართ ვინმეს, რომ ამ საკითხზე ამომწურავი ინფორმაცია მიგეღოთ?**

– მოსახლეობის აღწერისას, ანკეტის შევსება ხდება ფანქრით. გვაინტერესებს, რატომ ხდება ეს ფანქრით და არა კალმით?! ფანქარი ეჭვს ბადებს, თავისუფლად შეიძლება ფანქრით შევსებული წაშალო და რაც გინდა, ის ჩაწერო მერე. ლოგიკური და ძალიან არასასიამოვნო კითხვა გაჩნდა, ხომ არ აპირებს ხელისუფლება, აღწერის მონაცემები ამომრჩეველთა რაოდენობას მოარგოს. არ არის გამორიცხული, ხელისუფლებამ ამ გზით მონაცემები გადააკეთოს და სათავისოდ გამოიყენოს. აუცილებლად უნდა მოგვცეს განმარტება სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა, რატომ დაავალეს მათ თანამშრომლებს ანკეტების ფანქრით შევსება.

**აღნიშნულ საკითხში გასარკვევად, „ალია“ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს დაუკავშირდა და მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიის სამმართველოს უფროსს, პაატა შავიშვილს ესაუბრა:**

– ეს ჩვენი მოგონილი არ არის, ძალიან ბევრ ქვეყანაში კეთდება იგივე რამ ფანქრით, ან ფანქრისმაგვარი კალმისტრით. ხალხი ფიქრობს, რომ ჩვენ მონაცემებს შევცვლით და ა.შ. მაგრამ დამერწმუნეთ, თუ ვინმეს რაიმეს ამოშლა და შეცვლა მოუნდება, ავიღებთ სხვა ანკეტას და იქ ჩავწერთ შეცვლილ მონაცემებს. ფანქრის გამოყენება რამდენიმე ფაქტორის გამო გადავწყვიტეთ. აღმწერს, ერთ ოჯახში სამუშაოდ, დაახლოებით 30 წუთი აქვს. ამ მუშაობისას ბევრ ტექნიკურ შეცდომას უშვებს, რომლის წაშლა და ჩასწორებაც უწევს მას ოჯახის თანდასწრებით. წარმოიდგინეთ, შეცდომა რომ დაუშვას, ეს 24-გვერდიანი კითხვარი ხომ თავიდან უნდა გადაიწეროს?! ამ მიზეზის გამოც არა მგონია, კომფორტული იყოს რომელიმე ოჯახში აღმწერის ამდენი ხნით გაჩერება. ასევე, ის კითხვარები, რომლებიც აღმწერს თან დააქვს, არის 7-8 კილო. ყოველ ოჯახში რომ მოუწიოს მას კითხვარის გადაწერა, მან ამისთვის სამმაგი რაოდენობის კითხვარი უნდა ატაროს, ანუ დაახლოებით 20-ზე მეტი კგ წონის ტვირთი. შესაბამისად, ბიუჯეტის სამჯერ გაზრდა მოგვიწევდა ბეჭდვით ხარჯებთან დაკავშირებით. აი, ამ ფაქტორებმა გადაგვაწყვეტინა, რომ ფანქრით შეგვევსო ანკეტები. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, თუ ვინმეს მოუნდება რამე შეცვალოს, ფანქრით კი არა, კალმისტრით რომ იყოს შევსებული, ისიც კი შეიცვლება, მაგრამ ჩვენ ეს გეგმა არ გვაქვს. გაყალბება რომ გვინდოდეს, მაშინ პირდაპირ მონაცემებს ჩავწერდით და არავის არ შევაწუხებდით.

საერთოდ არ ვართ დაკავშირებული არჩევნებთან. საარჩევნო სიებთან არ გვაქვს შეხება. ასევე, ჩვენ არ ვიძლევით ინდივიდუალურ ინფორმაციას, არ ვაძლევთ ამ მონაცემებს არც ერთ სახელმწიფო უწყებას. ჩვენს მონაცემებს იცავს კანონი ოფიციალური სტატისტიკის შესახებ და არ გავქვს უფლება, გადავცეთ მესამე პირს ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაცია. ვიმეორებ, რომ გვინდოდეს, ამას ისე გავაკეთებთ თვალსა და ხელს შუა, რომ ვერც ვერავინ გაიგებს, მაგრამ არ გვინდა ჩვენ ეს. ეს მონაცემები ბევრ გზას გადის, ჯერ ადგილზე ივსება ანკეტა, მერე კომპიუტერში შეგვაქვს და ა.შ. ამიტომ არ უნდა არსებობდეს ეჭვები, რომ მაინცდამაინც იქ ყალბდება, როცა ფანქარს იყენებენ. ამ აღწერას იმისთვის ვატარებთ, რომ რეალობა ავსახოთ და არა გაყალბებისთვის და ვინმეს ინტერესების გასატარებლად. ეს არ არის ჩვენი მიზანი.

**— ანკეტები დანომრილია?**

– ეს ხომ არ არის მკაცრი აღრიცხვის ქაღალდი?! შესაბამისად, არ არის დანომრილიც. ჩვეულებრივ, რესპონდენტის სიტყვებით ივსება.

**დიანა ლიპარტელიანი**

571 80 40 80

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „დელტაში“ აღმოჩენილი დარღვევები ალასანიას მინისტრობის პერიოდს არ უკავშირდება“



სახელმწიფო აუდიტორი ლაშა თორდია ადასტურებს, რომ აუდიტის სამსახურმა დარღვევები „დელტაშიც“ აღმოაჩინა. თუმცა, ეს დარღვევები ირაკლი ალასანიას მინისტრობის პერიოდს არ უკავშირდება.

„რაც შეეხება უშუალოდ „დელტას“, იქ ფიქსირდება დარღვევები, თუმცა ეს არ შეეხება 2013 წლის პერიოდს. „დელტა“ 2013 წლის დასაწყისში ეკონომიკის სამინისტროს გადაეცა“, – განაცხადა თორდიამ.

ხოლო საბურავების შესყიდვის საქმეზე თავდაცვის სამინისტროში არსებული დარღვევების შესახებ ინფორმაციას თორდია არ ფლობს. მისი თქმით, ეს შესყიდვა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესწავლის საგანი არ ყოფილა.

„ჩვენ ამასთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ვფლობთ. შესაძლებელია, წელს ავტონაწილებთან დაკავშირებული შესყიდვა განხორციელდა, თუმცა ჩვენ ეს საკითხი არ შეგვისწავლია“, – აღნიშნა თორდიამ.

(ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ალასანიამ ყველაზე კარგად იცის, რომ გამოძიებაში არავინ ერევა“



უმრავლესობის წევრი ირაკლი სესიაშვილი ირაკლი ალასანიას მხრიდან პროკურატურის მისამართით გაკეთებულ „ბოლო გაფრთხილებას“ ეხმაურება. მისი თქმით, წესები კანონმდებლობით არის დადგენილი და ის ყველამ უნდა დაიცვას.

„არა მგონია, სახელმწიფომ ან პროკურატურამ დაუშვას, რომ ამ ძალიან რეზონანსულ საქმეში რაიმე შეცდომა გაიპაროს. მოვუწოდებთ მხარეებს, რომ კანონით დადგენილი ნორმები დაიცვან. პოლიტიკოსებს კი ვთხოვ, რომ ამ შემთხვევაში ზედმეტი პოლიტიზებით ჩვენს ქვეყანას ნუ ვავნებთ. დარწმუნებული ვარ, ამ საქმესთან დაკავშირებით ყველა უწყება დაიცავს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და ყველაფერი სამართლიანად განხორციელდება. მე ასევე მწამს, რომ ბატონმა ალასანიამ, რომელიც იყო მთავრობაში, ყველაზე კარგად იცის, რომ გამოძიებაში არავინ ერევა“, – განაცხადა სესიაშვილმა. (ნიუპოსტი)

## რატომ დასჭირდა ავთანდილ ცქვიტინიძეს მეუღლის CV-ს გამოქვეყნება?!



– 2014 წლის 17 ნოემბერს დაინიშნა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ“ – ვკითხულობთ ხათუნა თოთლაძის **cv**-ში. დაწინაურებული მეუღლის **cv**-ს „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე დიზაინერი ავთანდილ ცქვიტინიძე აქვეყნებს:

ხათუნა თოთლაძე დაიბადა 1980 წლის 18 თებერვალს ქ. თბილისში.

2002 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საერთაშორისო სამართლის სპეციალობით.

2002 წლიდან მუშაობს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში:

2002-2003 წლებში – საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრში სპეციალისტის თანამდებობაზე;

2003-2005 წლებში – საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის ატაშეს თანამდებობაზე;

2005-2006 წლებში – საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის I მდივნის თანამდებობაზე;

2006-2007 წლებში – საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის სახელშეკრულებო სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე;

2007-2012 წლებში – საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე;

2012-2014 წლებში – საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობაზე.

2007-2008 წლებში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში.

2004 წლიდან დღემდე არის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი.

არის ათამდე სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი.

2014 წლის 17 ნოემბერს დაინიშნა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ.

ფლობს ინგლისურ, რუსულ და ფრანგულ ენებს.

2010 წელს მინიჭებული აქვს მრჩევლის დიპლომატიური რანგი.

ჰყავს მეუღლე და ქალიშვილი...

ეტყობა, ამ ინფორმაციით დიზაინერი ყველა იმ პირს პასუხობს, რომელმაც ხათუნა თოთლაძის პროფესიონალიზმი ეჭვქვეშ დააყენა.

***newposts.ge***

## „როცა გადაცემაში აწყობ ცირკს, წამყვანმა უნდა იცოდეს, რომ ასეთი ცირკებით კარგი საქმეც კი ფუჭდება“ – გოგი გვახარია



ტელეკომპანია „იმედზე“ გადაცემა „იმედის კვირის“ ბოლო გამოშვება სხვა თემებთან ერთად ტრანსგენდერ ბექა ბერიანის (საბი) მკვლელობას მიეძღვნა. გადაცემის შთაბეჭდილებებს კინოკრიტიკოსი გოგი გვახარია „ფეისბუკის“ პირად გვერდზე აქვეყნებს.

– არ მინდოდა ყურება („იმედს“ იშვიათად ვუყურებ ისედაც), მაგრამ სტუმრად ვიყავი და ჩართეს. შთაბეჭდილება:

1. ტრანსგენდერი გოგო იყო ყველაზე ლამაზი სტუდიაში.

2. ორ მამაკაცს (ერთის გვარია, მგონი, ხუჯაძე) არაერთხელ წამოცდა სიტყვა „მეჩალიჩებიან“. გამოდის, რომ „ჩალიჩის“ შიში ბადებს ქალზე ძალადობასა და ჰომოფობიას?.. ანუ იმის შიში, რომ „მამაკაცობას“ დაკარგავენ? (ქალიშვილობის დაკარგვის ამბავში).

3. „ძალადობას ვგმობ, მაგრამ...“ – ეს წინადადება ახალი ჰომოფობური დისკურსის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი ხდება საქართველოში.

წამყვანებზე ცუდს ვერ ვიტყვი. როგორი დამოკიდებულებაც არ უნდა მქონდეს პირადად შალვა რამიშვილის მიმართ, ნამდვილად ვიცი, რომ შალვა ჰომოფობი არაა (უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, „კიდია“), მაგრამ როცა გადაცემაში აწყობ ცირკს, წამყვანმა უნდა იცოდეს, რომ ასეთი ცირკებით კარგი საქმეც კი ფუჭდება. ყოველ შემთხვევაში პრობლემა ვერ წყდება, – წერს გვახარია სოციალურ ქსელში.

***ambebi.ge***

## ვინ არის იულია მარუშევსკაია, რომელიც 15 ნოემბრის აქციაზე სააკაშვილს გვერდით ედგა



15 ნოემბერს „ნაციონალური მოძრაობის“ აქციაზე შეკრებილ საზოგადოებას კიევიდან, მიხაილოვსკის მოედნიდან საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა მიმართა. სააკაშვილს გვერდს მაიდანის აქტივისტი იულია მარუშევსკაია უმშვენებდა.

– ეს უკრაინელი ვარსკვლავი საქართველოს მხარდამჭერია, ისევე როგორც ყველა უკრაინელი პატრიოტი.

გუშინდელი სოლიდარობის აქციის მონაწილე – იულია მარუშევსკაიაა, მისი ვიდეო „იუთუბიზე“ მილიონობით ადამიანმა ნახა, – წერს სააკაშვილი „ფეისბუკის“ გვერდზე.

იულიას შესახებ სოციალურ ქსელში საპარლამენტო უმცირესობის წევრი დავით საყვარელიძეც წერს. მისი თქმით, იულია რამდენიმე თვის წინ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს შეხვდა და საკუთარი წიგნი აჩუქა:

– სიცხადისთვის „იულია“, ანუ იულია მარუშევსკაია არის მაიდანის აქტივისტი, რომელმაც ჩაწერა და დაამზადა ვიდეოკლიპი „რატომ უნდა გახდეს უკრაინა ევროპის ნაწილი“. კლიპს მილიონობით ნახვა დაუგროვდა. ასევე ეს გოგო იყო სწორედ ერთ-ერთი მათგანი, ვინც მაიდანზე სნაიპერის დახოცილი ხალხის ცხედრებს მორგში ყარაულობდა, რომ არ მოეპარათ და ექსპერტიზა ჩატარებოდათ. სხვათა შორის, ამ გოგომ რამდენიმე თვის წინ ამერიკაში ღარიბაშვილთან შეხვედრის შემდეგ საკუთარი წიგნი გადასცა პრემიერ-მინისტრს...

***ambebi.ge***

## მაკა ძაგანია ბიჭის დედა გახდა



მსახიობი მაკა ძაგანია, რომელიც მკითხველის დიდმა ნაწილმა სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებიდან“ გაიცნო, მეორე შვილის დედა გახდა. სოციალურ ქსელში მაკასა და ბავშვის ფოტოები უკვე გავრცელდა.

ამ ეტაპზე მხოლოდ იმის გარკვევა მოვახერხეთ, რომ მაკა და ახალშობილი თავს კარგად გრძნობენ და ბავშვს მსახიობმა გიორგი დაარქვა.

შეგახსენებთ, რომ მაკას რჩეული 25 წლის მსახიობი გია ცერცვაძეა. წყვილმა ჯვარი ცოტა ხნის წინ დაიწერა. ფეხმძიმე მაკა არაჩვეულებრივად გამოიყურებოდა და თეთრ კაბაშიც კი წონის მომატება საერთოდ არ ეტყობოდა.

***reitingi.ge***

## „მე და ტარიელს გვქონდა პრობლემები“ – ია ფარულავას პირველი კომენტარი სასამართლოს დატოვების შემდეგ



მსახიობი და ტელეწამყვანი ია ფარულავა მედიით გავრცელებულ ინფორმაციას, რომ თითქოს მეუღლეს, ტარიელ სუარს სასამართლოში სექსუალური ძალადობის გამო უჩივლა, უარყოფს.

ია ფარულავა მომხდართან დაკავშირებით პირველ კომენტარს **ambebi.ge**-სთან აკეთებს:

– პირველ რიგში, მინდა სამარცხვინო ვუწოდო იმ ინფორმაციას, რაც მედიის მეშვეობით გავრცელდა, თითქოს ტარიელს ვუჩივლე სექსუალური ძალადობის გამო. მე და ტარიელს გვქონდა პრობლემები. მას დაგეგმილი აქვს ტურნე, არაერთი კონცერტის ჩატარება, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, უამრავი მტერი ჰყავს და სწორედ ამის გამო მივმართეთ სასამართლოს.

ხმამაღლა მინდა განვაცხადო, რომ ტარიელ სუარი ყველაზე მაგარი მუსიკოსია, როგორც საქართველოში და ამიერკავკასიაში, ასევე მთელ ევროპაში, ამიტომაც ჰყავს უამრავი მტერი და იძულებული გავხდით, სასამართლოსთვის მიგვემართა.

ვიცი, რომ ჟურნალისტები ყოველთვის არიან სასამართლოს ეზოში, ამიტომ არ მინდოდა ზედმეტი ხმაური და შესაბამისად ჩაცმული მივედი სასამართლოზე. ეს იყო და ეს.

***ambebi.ge***

## რას ჰყვება „ნიჭიერის კარუზოზე“ მისი მოძღვარი



– ღმერთმა დაგლოცოს გიორგი, – ასე მიმართავს „ნიჭიერის“ კონკურსანტს გევორქ პეტროსიანს თავისივე მოძღვარი თომა ცეცხლაძე. გიორგი მართლმადიდებლურად მონათლული გევორქის ნათლობის სახელია. როგორც კონკურსანტმა აღნიშნა, ის ნათლობამდე იეჰოვას მოწმე იყო. მოძღვრის კომენტარიდან კი ირკვევა, რომ გევორქი ხუცესი უნდა გამხდარიყო.

თომა ცეცხლაძე, მოძღვარი:

– ღმერთმა დაგლოცოს, გიორგი. ის 10 წელი იმ ორგანიზაციის წევრი იყო, რომელსაც ამჟამად იეჰოვას მოწმეები ჰქვია, გიორგი ე.წ. ხუცესი უნდა გამხდარიყო, მაგრამ მან დაინახა რა ამ სატანისტური ორგანიზაციის ნამდვილი სახე, დატოვა ეშმაკის მსახურთა ბრუკლინიდან მართული ორგანიზაცია და დღეს მართლმადიდებელია, ქრისტეს სისხლსა და ხორცს ზიარებული.

ის ქრისტიანია და მის მიმართ გაჟღერებული ბრალდებები ტყუილია, ის არც განდგომილია ქრისტესგან და არც განყენებული. პირიქით ის ქრისტეს სწავლების ჭეშმარიტი დამცველია. მე, როგორც მისი მოძღვარი, ვლოცავ მას და ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ. ღმერთმა დაგლოცოს, გიორგი...

***newposts.ge***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

1. სოდომი და ...
2. ნაჭრის გასაშლელი ოთახი
3. რძის პროდუქტი
4. ალგებრული მრუდი
5. ფოლადის ბაგირი
6. ბაღჩეული
7. ირლანდიური ცეკვა ჩეჩოტკით
8. ინდიელის ტყავის ფეხსაცმელი
9. შოტლანდიელი მამაკაცის სამოსი
10. ვაშლის ღვინო
11. მწერალი ... ბრედბერი
12. გიჟუას როლში აკაკი ...
13. კოსმეტიკური სურნელოვანი ზეთი
14. ავანტიურისტი ჯაკომო ...
15. ალპური ყვავილი
16. მომღერალი ... მინოუგი
17. მუს. გამის მეშვიდე საფეხური
18. მათემატიკური გამოსახ. მნიშვნელით
19. ეგვიპტის ფარაონთა დინასტია
20. ჟუჟუა სახელმწ. ევროპაში
21. რაინდების შეჯიბრი
22. ელექტრონ. ტექნიკის ფირმა
23. სამაგიერო გადახდა
24. სამეფო თავსამკაული
25. ხორბლის შეჭამანდი ქელეხში
26. ძვალი, რომლითაც ხერხემალია აწყობილი
27. ბოსტნეული
28. ბელორუსიის დედაქალაქი
29. ჭურ-ჭელი ზოგადად
30. თოფის ხის ნაწილი
31. გამოუწვავი აგური
32. ქალი, დიაცი (ძვ.)
33. გზა მაიმუნიდან ადამიანამდე
34. სტივ მარტინი და ბიონსე ფილმში „ვარდისფერი ...“
35. ცეცხლზე გამხმარი პურის ნაჭერი
36. ნაწლავის პარაზიტი ჭია
37. წლის სამზავრო ჭურჭელი
38. ზოგ ენაში არსებით სახელს უძღვისნინ
39. ორი ათეული
40. სურდო
41. „ბითლზი“ რინგო ...
42. ჩრდილოამერიკული დათვი
43. ... ბაბაჯანიანი
44. პრეზიდენტის „კურთხევა“
45. თვალის ბუდე
46. მთელი გაყოფილი შუაზე
47. კონგოს დედაქალაქი
48. იაპონური მულტიპლიკაცია
49. რუსული ხალხური სიმებ. ინსტრუმენ.
50. ფირნიში
51. იაზონის გემი
52. მსახიობი ... ვენტურა
53. ძველი ეგვიპტის დედოფალი
54. ვინი პუჰის ავტორი
55. კვერცხის პროექცია სიბრტყეზე
56. კომპოზიტორი ... ნასიძე
57. მოკრივე როკი ...
58. ბრტყელი ლოკოკინა ერთგვარი
59. ძუნწი
60. ციტრუსი
61. მიმართვა ქალისადმი აშშ-ში
62. ბულგარული არაყი
63. ...
64. ...
65. ქართლ-კახეთის მეფე მე-18ს-ში
66. ვიტამინი „C“, ანუ ... მჟავა
67. რუსული ავტომობილი
68. კაპიტალით მიღებული შემოსავალი
69. გუფთა კომბოსტოში
70. მახრჩობელა გველი
71. „ლონდრე“ ლეილა ყიფიანი
72. ტირიფის ეპითეტი
73. მატარებლის პლატფორმა
74. რივზი ფილმში „ტკბილი ...“
75. წითელყელსახვევიანი მოწაფე
76. მსახიობი ველ ...
77. მსახიობი ... რობერტსი
78. 3,14
79. სსრკ-ში: ლავრენტი ...
80. მსოფლიოს საოცრება: როდოსის ...
81. ქართ. ხალხური სიმღერა
82. გემი ორი კორპუსით
83. ნივთიერება ყვავში
84. რაიმე საქმეში პირველობა
85. უკრაინის ფულის ერთეული
86. საგანგაშო ძახილი საშველად
87. მსახიობი ... კატჩერი
88. სოფელი ოჩამჩირის რაიონში
89. ბერძენი ფილოსოფოსი
90. შებოლილი ხორცი
91. სტუმრის მომსახურე ქალი იაპონიაში
92. მაღაზიათა ქსელი თბილისში
93. ეპილეფსია, ანუ ...
94. ბოკაჩოს რომანი
95. ქალაქის თავი
96. შესვენება თეატრში
97. ასტრონომიული მანძილის საზომი ერთეული
98. შვედური ხურდა ფული
99. მხატვარი ... ონო
100. ჰაერის მისაწოდებელი სამჭედლოში
101. ევროპის ქალაქი, რომელიც კედლით იყო გაყოფილი
102. პერსონა ... გრატა
103. გადაშენებული ფრინველი
104. სასოფლო-სამეურნეო იარაღი
105. ლითონის წვრილი ფული
106. მსახიობი აიშვარია ...
107. მსახიობი ... მაკგრეგორი
108. ინდაურის საახალწლო კერძი
109. მდინარე ციმბირში
110. სამკუთხა თავსაფარი
111. გულსაბნევი
112. ბედი
113. „... და ქილა ერბო“
114. მსახიობი რობერტ დე ...
115. ხილის ნაჭუჭიანი გული
116. კომპოზიტორი ... პაულსი
117. მომღერალი ... ქერი
118. ამოთხრილი ადგილი მიწაზე
119. ძაფებით სამოძრაო თოჯინა
120. იმრე კალმანის ჟანრი
121. მომღერალი ... ოსბორნი
122. ტაფაზე მომწვარი რბილი ლავაში
123. მსახიობი ... სილვერსტოუნი
124. ზღვის ძუძუმწოვარი
125. მსახიობი კევინ ...
126. ვრცელი ველები აფრიკაში
127. სახეში გაწნული ხელი
128. ... არაგვისპირელი
129. მომღერალი ... ჯონსი
130. სახელმწიფო აზიაში
131. ხურდების ჩასაყრელი ჭრილიანი საგანი
132. მსახიობი ანუკ ...
133. ალკოჰოლური სასმელი
134. ლინდგრენი. „... გრძელი წინდა“
135. ძაღლის ჯიში
136. ... კუზანოვი
137. წყალში მოხარშული ცომის ნაჭრები
138. მამალი კვიცი
139. ცივი დესერტი
140. წყლის მყარი ფორმა
141. კუნძული ინდონეზიაში
142. სამშობლოს მოყვარული
143. არნოლდ შვარცენეგერი, იგივე „რკინის ...“
144. „... მკერდში ორი გული დევს“
145. პურეულით დათესილი ადგილი
146. პარლამენტარი ოლიმპ. ჩემპიონი
147. მონათა აჯანყების ხელმძღვანელი
148. ნიშნავს საწინააღმდეგოს
149. ცხენის კუდის ბალანი
150. ტომრის ფორმის საფულე
151. მიმიკის უქონლობა
152. ინდიელის ცოლი (ზოგადად)
153. იანის საპირისპირო
154. მდინარე გერმანიაში
155. მსახიობი ... ფარულავა



# სკანვორდი



1. კუნძული აფრიკასთან
2. დოსტოევსკი. „ძმები ...“
3. შხამი, ამზადებენ ინდიელები
4. ტბა თბილისში
5. შხამიანი გველი
6. ცეკვა „მულენ-რუჟში“
7. უდაბნო პერუში
8. ჭამის სურვილი
9. ნათურის აჟურული საფარი
10. კომპოზიტორი მერი ...
11. იოჰან ... ბახი
12. მსახიობი ... ბესინჯერი
13. თამაშში: არჩევანი და ...
14. ... ხაჩატურიანი
15. უმაღლესი სპორტ. მიღწევა
16. „... თოვლიანი მთა“
17. ჟედმალ ჭკუასუსტი ასისთავი
18. პიპოპოტამი
19. ფეხბურთელი ... ზიდანი
20. „ნატვრის ხე“ კვეჟარაძე
21. ცვავილების ჩასარგავი ჭურჭელი
22. სიმაღლის მიხედვით დგომა
23. მხატვარი ოგიუსტ ...
24. მეხსიერების დაკარგვა
25. მსახიობი ... სუონკი
26. მას ესმერალდა უყვარდა
27. ტბა სომხეთში
28. მზესუმზირის ტკბილეული
29. მცენარე სიცოცხლის ელექსირი
30. კაცის ინფექც. დაავადება
31. ქალაქი აშშ-ში
32. მსახიობი ... გიბსონი
33. მსახიობი ქეით ...
34. მხატვარი კარლ ...
35. მდინარე თბილისში
36. ბუდისტური ტაძარი
37. ბალზაკი. „... ტყავი“
38. ბოლო
39. რაფსოდიის ავტორი ... სენსი
40. შიიზმის მიმდევარი
41. პრეზიდენტის ფიცი
42. კომპოზიტორი მორის ...
43. მსახიობი ... ბროსნანი
44. მსახ. ... მაკგრეგორი
45. მსახიობი ... დე ფიუნესი
46. მონღოლი დიდებული
47. ხურდის მოსაგროვებელი ნივთი
48. იაპონური ფულის ერთეული
49. ვირისა და ცხენის ნაშიერი
50. არბიტრი
51. ნიშნავს ახალს
52. სათვალეში დატანებული ნართი
53. კომპოზიტორი ენიო ...
54. ყვავილი
55. „მამლუქი“ ხვიჩა და ...
56. მეზღვაურის დამხმარე ბიჭი
57. მხატვარი კამილ ...
58. მწერალი დენი ...
59. პერის სოკო
60. მსახიობი ბენისიო დელ ...
61. დაუმორჩილებელი
62. სასული ინსტრუმენტი
63. თაგვის სადგომი ხვრელი
64. ატმოსფეროს ფენა
65. მხ/ფ „... მდივანი“
66. მსუბუქი, ანუ ...
67. ტყემლის შავი საწებელი
68. ზღვის მესიდი
69. ბრინჯის შეჭამანდი
70. გაუშ-ლელი ფოთოლი
71. მუსიკალ. ვიდეორგოლი
72. ხუმრობის თვე
73. მხატვარი ... ზიჩი
74. ძვირფასი ქვა
75. ... ფიროსმანაშვილი
76. კენჭი, ქვა
77. კონტინენტი
78. მხატვარი ლუკას ...
79. ჩინეთის დიდი ...
80. მდინარე აფხაზეთში
81. ყვავის ბარტყი
82. ბალანი თვალის ზევით
83. მონასტერი კასპის რაიონში
84. გადასახადის ზღვრული ნორმა
85. ნიშნავს ცხოველურს
86. მსახიობი ჯულია ...
87. სამოთხის ბაღი
88. მომღერალი ფილიპ ...
89. ... სუხიშვილი
90. ერთნაირი არაყი
91. პირის ღრუს გაშლება
92. ძაფის დასახვევი წრე
93. ქანდაკება პირამიდებთან
94. მომღერალი მერი ...
95. მითიური მებრძოლი ქალი
96. ქორბუდა ცხოველი
97. დიდი ნემსი
98. სანელებელი
99. ვერდის ოპერა
100. „მაუგლი“ მგელი
101. მსახიობი ... ჰოპკინსი
102. მწერლები ... და პეტროვი
103. მეჩეთის კოშკი
104. მსახიობი ივ ...
105. ნუთისოფელი ... დღეს ღამე უთენებია
106. ტაკო
107. მდინარე ერევანში
108. სალმა ჰაიეკის ფილმი
109. აბლაბუდა, ანუ ობობის ...
110. ადგილი მდინარეზე, სადაც წყალი ბრუნავს
111. მოვლის სურვილი ...
112. მეტყველების ექიმი
113. მომღერალი სელინ ...
114. მსახიობი ... ვენტურა
115. წყლის ტრანსპორტი
116. ყვავილი
117. მხ/ფ „ჩვენი ...“
118. ... ცეკვას მუხა
119. მკვეხარა
120. მსახიობი ... ჰარისი
121. ცხენი ალუმინლური საბელი
122. მგლოვიარე ფრინველი
123. ძვირფასი ლითონი
124. მისი დედაქალაქია კატმანდუ
125. იჯარა
126. მსახიობი ... გარსია
127. მხარე საქართველოში
128. ფერ შრომა, ... ხტომა
129. ბანდიტური დაჯგუფება
130. უჩვევი აზრი
131. გულუბრყვილო, ანუ ...
132. კვერცხის თეთრი შიგთავსი
133. ყვავილი
134. მწერალი ... ბრაუნი
135. მსახიობი ... ჟირარდო
136. ტყის ფრინველი
137. ციებ-ცხელება
138. ზამბახი
139. მსახიობი ... დეიმონი
140. ... კუზნეცოვი
141. მეტყველების ორგანო

პასუხები: 1. მადაგასკარი; 2. კარამაზოვები; 3. კურარე; 4. ლისი; 5. კობრა; 6. „კანკანი“; 7. ნასკა; 8. მადა; 9. აბაჟური; 10. დავითაშვილი; 11. სებასტიან; 12. კიმ; 13. არადანი; 14. არამ; 15. რეკორდი; 16. კილიმანჯაროს; 17. „ერისიონი“; 18. ბეჰემოთი; 19. ზინედინ; 20. მარიტა; 21. ქოთანი; 22. რანჟირი; 23. რენუარი; 24. ამნეზია; 25. ჰილარი; 26. კვაზიმოდო; 27. სევანი; 28. ჰალვა; 29. ჟენ-შენი; 30. მუნი; 31. კლივლენდი; 32. მელ; 33. უინსლეტი; 34. ბრიულოვი; 35. მტკვარი; 36. პოგოდა; 37. შაგრენის; 38. კვამლი; 39. ვან; 40. შიიტი; 41. ინაუგურაცია; 42. რაველი; 43. პირს; 44. ევან; 45. ლუი; 46. ნოინი; 47. ყულაბა; 48. იენა; 49. ჯორი; 50. მსაჯი; 51. ნეო; 52. პატრუქი; 53. მორიკონე; 54. ყიჩივარდა; 55. გოჩა; 56. იუნგა; 57. კორო; 58. დიდრო; 59. ობი; 60. ტორო; 61. ურჩი; 62. კლარნეტი; 63. სორო; 64. სტრატოსფერო; 65. რაიკომის; 66. მჩატე; 67. კვაწარახი; 68. გროში; 69. შილაფლავი; 70. კვირტი; 71. კლიპი; 72. აპრილი; 73. მიხაი; 74. ცირკონი; 75. ნიკო; 76. ქვა; 77. აზია; 78. კრანახი; 79. კედელი; 80. კელასური; 81. ბახალა; 82. წარბი; 83. რკონი; 84. ტარიფი; 85. ზოო; 86. ორმონდი; 87. ედემი; 88. კირკოროვი; 89. ილიკო; 90. რახი; 91. ხახა; 92. თითისტარი; 93. სფინქსი; 94. ნაკაშიძე; 95. ამორძალი; 96. ირემი; 97. მახათი; 98. მარილი; 99. „აიდა“; 100. აკელა; 101. ენტონი; 102. ილფი; 103. მინარეთი; 104. მონტანი; 105. ასეა; 106. კუსტო; 107. რაზდანი; 108. „ფრიდა“; 109. ქსელი; 110. მორევი; 111. ქადაგება; 112. ლოგოპედი; 113. დიონი; 114. ლინო; 115. ნავი; 116. ვარდი; 117. ეზო; 118. ორ; 119. ბაქია; 120. ედ; 121. გროგი; 127. რაჭა; 128. მერე; 129. ბანდა; 130. პრინციპი; 131. ალალი; 132. ცილა; 133. ია; 134. დენ; 135. ანი; 136. როჭო; 137. მალარია; 138. ირისი; 139. მეთ; 140. ივა; 141. ენა. იკითხება: ალავერდი.

## ფაქტები თავის ტკივილის შესახებ



– თავის ტკივილის მეცნიერული სახელწოდებაა – ცეფალალგია.

– გამოთვლილია, რომ პლანეტის მოსახლეობის არანაკლებ 80 პროცენტს თავის ტკივილი ცხოვრებაში ერთხელ მაინც ჰქონია. 25-დან 40 პროცენტს კი ეს უსიამოვნება რეგულარულად აწუხებს.

– პროდუქტები და სასმელები, რომლებსაც თავის ტკივილის გამოწვევა შეუძლიათ: ალკოჰოლი, განსაკუთრებით შავი ღვინო, შოკოლადი, მანდარინი, ყველი, ხორცის კონსერვები, ყავა, ჩაი...

– თავის ტკივილის გამომწვევ მიზეზად ყველაზე ხშირად სახელდება: სტრესი, ჰორმონალური ცვლილებები, კისრის ან ყბების დაძაბვა, დეპრესია, სასოწარკვეთა, მოუწესრიგებელი კვება, ძილის რეჟიმის შეცვლა, ტრავმები, აღგზნება, თვალების დაძაბვა, ამინდის ცვლილება, მკვეთრი სუნები, წამები, კაშკაშა სინათლე (ფოტოფობია), ფიზიკური გადაღლა, სიმაღლე (სიმაღლის შიში)...

– თავის ტკივილი შეიძლება გამოიწვიოს მექანიკურმა, ქიმიურმა ან თერმულმა ზემოქმედებამ მგრძნობელობის რეცეპტორებზე. რეცეპტორები, რომლებიც მდებარეობს თავის რბილ ქსოვილებში – კანზე, კუნთებში, თავის ზედაპირის არტერიების კედლებზე, მყარ გარსში და ასე შემდეგ, სხვადასხვა ნერვულ იმპულსებს, რომელსაც ადამიანი შეიგრძნობს, აღიქვამს, როგორც ტკივილს.



– არსებობს თავის ტკივილის როგორც მინიმუმ, სამი სახეობა, თუ არ ჩავთვლით ტკივილებს გაცივებისგან, გრიპისგან, სინუსიტისგან და სხვა დაავადებებისგან. ეს სახეობებია: შეტევისებური, შაკიკი და „გისტამინური“ ტკივილი.

– „გისტამინურ“ ტკივილს მწვავე ხასიათი აქვს და 20 წუთიდან 2 საათამდე გრძელდება. მეორდება ერთი ან რამდენიმე დღის, კვირის ან თვის მანძილზე. შემდეგ დიდი ხნის მანძილზე ჩერდება, თუმცა მხოლოდ იმისთვის, რომ კვლავ დაბრუნდეს რაიმე შესამჩნევი მიზეზის გარეშე.

– სამიდან ყველაზე გავრცელებული შეტევისებური თავის ტკივილია.

– შაკიკი დამახასიათებელია უფრო ქალებისთვის, ვიდრე მამაკაცებისთვის.

– სამაგიეროდ, „გისტამინური“ ტკივილი უფრო ხშირად მამაკაცებს აწუხებთ.

– ქალები, რომლებიც სოფლებსა და გარეუბნებში ცხოვრობენ, თავის ტკივილისგან უფრო ხშირად იტანჯებიან, ვიდრე ქალაქელები.

– თავის ტკივილზე ადვილად მოქმედებს გონების ძალა. კვლევებით დადასტურებულია, რომ ადამიანების 40 პროცენტი, რომელსაც თავის ტკივილები აწუხებს, მყისიერ შვებს გრძნობს მაშინაც კი, როცა შაქრის აბს აძლევენ, რომელშიც არავითარი სამედიცინო ნივთიერება არ შედის, მაგრამ რომელიც მისცეს ისე, როგორც ტკივილგამაყუჩებელი საშუალება.

– ასპირინს, თუკი აბი გარსის გარეშეა, სულ 30 წამი სჭირდება, რომ სისხლის მიმოქცევის სისტემაში მოხვდეს.

– თავის ტკივილი შეიძლება იყოს, როგორც მინიმუმ, 45 სხვადასხვა დაავადების გამოვლინება.

***1001facts.info***

## რომელი ვიტამინები უნდა სვათ, რომ უძლიერესი ბავშვი გააჩინოთ?



ფეხმძიმეებისთვის ჰაერივით საჭიროა ასკორბინის მჟავა, თუკი სურთ, რომ გონებაგახსნილი და ძლიერი ჯანმრთელობის მქონე ბავშვი გააჩინონ. გენიოსიც კი, აბაა?! აი, ცე ვიტამინის ნაკლებობა კი პირიქით, შესაძლოა, თავის ტვინის განუვითარებლობით დასრულდეს.

აღნიშნული დასკვნის ავტორები კოპენჰაგენის უნივერსიტეტის სპეციალისტები არიან. ისინი დარწმუნებულები არიან, რომ „ცე“ ვიტამინის ნაკლებობის გამო, ჩანასახის ტვინისთვის მიყენებული ზიანის გამოსწორება ძალიან რთული და შეიძლება ითქვას, შეუძლებელიც კია.

– ასეთი ბავშვები ძალიან რისკავენ, პრობლემები გაუჩნდეთ სხვადასხვა სახის ინფორმაციის დამახსოვრების მხრივ, – ამბობენ კვლევის ავტორები.

***mamin-dom.ru***

## 10 უცნაური ფაქტი ორშაბათის შესახებ



ძალიან ბევრი საინტერესო, უცნაური და ამოუხსნელი მოვლენა უკავშირდება კვირის ყველაზე მძიმე დღედ წოდებულ ორშაბათს. ბრიტანელმა მეცნიერებმა ორშაბათის შესახებ 10 ყველაზე გამორჩეული ფაქტი გამოყვეს, რომლებსაც ჩვენც გაგაცნობთ:

1. ორშაბათობით ადამიანების უმრავლესობა დაახლოებით დილის 11 საათამდე ერთხელაც არ იღიმება.

2. არსებობს რამდენიმე შესანიშნავი ხერხი, შეებრძოლოთ უსიამოვნო დამოკიდებულებას ორშაბათის მიმართ. მაგალითად, სექსი, შოკოლადისა და კოსმეტიკის შეძენა, ტელევიზორის ყურება და შვებულების დაგეგმვა.

3. სხვადასხვა კერძო თუ სახელმწიფო კომპანიაში მომუშავე თანამშრომლების 50 პროცენტი ორშაბათობით სამსახურში აუცილებლად იგვიანებს.

4. 12 წუთი – სწორედ ამდენი დრო ჰყოფნით ადამიანებს, რომ ორშაბათზე იწუწუნონ.

5. ყველაზე მეტად „ორშაბათის სინდრომი“ დამახასიათებელია ადამიანებისთვის, რომელთა ასაკიც 45-დან 54 წლის ფარგლებში მერყეობს.



6. ორშაბათობით, სხვადასხვა კომპანიის თანამშრომელთა პროდუქტიულობა მხოლოდ 3,5 საათის მანძილზე ნარჩუნდება.

7. დაუდგენელია მიზეზი, თუმცა სტატისტიკა იმაზე მეტყველებს, რომ სწორედ ორშაბათობით ხდება თვითმკვლელობების უმრავლესობა.

8. ორშაბათს მიოკარდის ინფარქტის რაოდენობა 20 პროცენტით მატულობს.

9. ყველაზე იშვიათად, წვიმა ორშაბათს მოდის ხოლმე.

10. ამ ყველაფერი ნეგატიურის ფონზე, ორშაბათზე ერთ დადებითსაც გეტყვით: სწორედ კვირის პირველი დღე სახელდება ავტომობილის შეძენის საუკეთესო დროდ. მიზეზი ის ყოფილა, რომ შაბათ-კვირის შემდეგ, გამყიდველებს იმედი არ აქვთ, რომ ორშაბათს სარფიან გარიგებას მიაღწევენ და ამიტომ, ავტომობილს ფასს ბევრად ადვილად აკლებენ.

***mainfun.ru***

## ცივი ამინდი გაციების ალბათობას სულაც არ ზრდის



– ქუდი დაიხურე, ცივა გარეთ და არ გაცივდე! – ალბათ, რამდენჯერ მოგისმენიათ დედისგან ან ბებიისგან ასეთი დარიგება, თანაც, არა მხოლოდ ბავშვობის წლებში. ჰოდა, ძვირფასო დედიკოებო და ბებიკოებო, იცით, რომ სიცივესა და გაცივებას შორის კავშირი მხოლოდ მითი და ფოლკლორია?

სპეციალისტები განმარტავენ, რომ ჰაერის დაბალი ტემპერატურა სულაც არ ზრდის იმის ალბათობას, რომ ადამიანს ინფექციური გაციების დაავადებათა გამჩენი 200+ ვირუსიდან ერთ-ერთი შეხვდეს.

როგორც წესი, ვირუსები აირ-წვეთოვანი გზით ხველებისა და დაცემინების დროს ვრცელდება. მიუხედავად იმისა, რომ გაციების რისკი სუსტი იმუნიტეტის დროს მაღალია, დიდი ხნის წინათ ისიც დამტკიცდა, რომ ცივი ამინდი იმუნურ სისტემაზე სულაც არ მოქმედებს.

კვლავაც სპეციალისტებს თუ დავესესხებით, გაციება ზამთრის პერიოდში უფრო მეტად გავრცელებული იმიტომაა, რომ ადამიანი გაცილებით ცოტა დროს ატარებს ქუჩაში, ანუ ჰაერზე, და ძირითადად, შენობებშია გამოკეტილი.

***dr20.ru***



## ზიმბაბვეს მოსახლეობის 25 პროცენტი ფეხზე მხოლოდ 2 თითით იბადება

ძალიან ბევრი ზიმბაბველის ფეხები ცხოველის ჩლიქებს უფრო მოგაგონებთ, ვიდრე ადამიანის ქვედა კიდურებს.

დაავადებას ექტროდაქტილია ეწოდება და ასევე ცნობილია, როგორც „ომარის ბრჭყალის სინდრომი“. მას გენეტიკური წარმომავლობა აქვს და სტატისტიკის თანახმად, ყოველ მე-4 ზიმბაბველის შემთხვევაში ვლინდება.

ეს უჩვეულო სინდრომი განსაკუთრებით ზიმბაბვეს დასავლეთით, ვადომას ტომშია გავრცელებული.

სამწუხაროდ, პათოლოგიისგან განთავისუფლება წარმოუდგენლად რთულია: პირველ რიგში, გენი, რომელიც მუტაციაზეა პასუხისმგებელი, დომინანტია და მეორე: გენოფონდი ვადომას წარმომადგენლებითაა შემოფარგლული, ვინაიდან ამ ტომის მოსახლეობას უცხო ტომელებთან დაქორწინების უფლება არ აქვთ.

***vk.com***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



ბინის პატრონი წყალკანალში რეკავს:

– რატომ მოდის ჩემი ონკანიდან წყალი?

– უკაცრავად, ვერ გაგიგეთ, რაშია საქმე?

– კაცო, ანგარიშით, რომელიც მომივიდა, ჩემი ონკანიდან ახლა კონიაკი უნდა მოდიოდეს, ან როგორც მინიმუმ – ჟიპიტაური!..

*****

პატრულმა სასულიერო პირი გააჩერა:

– თქვენ რა, ნასვამი ხართ?

– მხოლოდ წყალი მაქვს მიღებული!

– კი, მაგრამ ღვინის სუნი რომ მცემს?!

– ღმერთო, შენ ეს ისევ გაიმეორე...

*****

– ყველაფერზე უარი ვთქვი – სმაზე, მოწევაზე, ცოლზე!..

– ცოლზე რატომ?

– არ იმსახურებდა ასეთ ბედნიერებას და იმიტომ!

*****

ძაღლმა ქუჩაში გამვლელი დაკბინა. დაზარალებულმა ძაღლის პატრონს ყვირილი დაუწყო:

– კომპენსაციას მოვითხოვ! კომპენსაციას მოვითხოვ!

– პრობლემა არ არის, ძმაო, მე დავიჭერ, შენ დაკბინე...

*****

ნადირობის შემდეგ ყველა მონადირე კოცონის გარშემო შეიკრიბა. ერთ-ერთი კითხულობს:

– ყველა აქ ვართ?

– კი, ყველა!

– მადლობა ღმერთს! ესე იგი, წეღან მართლა კურდღლისთვის გამირტყამს.

*****



– მახსოვს, საშინლად ღიზიანდებოდი, როცა ცოლი „ფისუნიათი“ მოგმართავდა. როგორ გადააჩვიე, ასე რომ აღარ მოგმართავს?

– ფეხსაცმელებში ჩავუფსი!..

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები***

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## მათემატიკა შეიძლება... ტკივილის მიზეზი იყოს?



ჰო, მათემატიკა ტკენს, ფიზიკა თავბრუს ხვევს, აი, ზოოლოგია კი ფაღარათის მიზეზი შეიძლება გახდეს...

რა მაგარი უცნაურები არიან ეს მეცნიერები, ყველაფერში იქექებიან და ისეთ დასკვნას დადებენ ხოლმე, გული გაგისკდება ხან სიცილით, ხან კი – შიშით.

– თუკი მათემატიკური ამოცანის ამოხსნისას ადამიანი ძალიან ნერვიულობს, აქტიურდება თავის ტვინის ზონა, რომელიც ფიზიკურ ტკივილზეა პასუხისმგებელი, – ასეთია ჩიკაგოს უნივერსიტეტის სწავლულების მოსაზრება. მათივე თქმით, ეს იმას ნიშნავს, რომ ტვინზე მოსალოდნელი დასაანგარიშებელი ქმედებების მოლოდინი უარყოფით გავლენას ახდენს.

ზოგჯერ, ანალოგიური რეაქციები ფიქსირდება ფსიქოლოგიური სტრესის სხვა ფორმებზე – სოციალურ უგულებელყოფასა და ურთიერთობების გაწყვეტაზე. თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ამერიკელებს სწორედ შიშის მომგვრელი მოვლენის მოლოდინს მოყოლილი მტკივნეული რეაქციები აინტერესებდათ.

კვლევის ავტორები განმარტავენ, რომ სწორედ მათი მიგნებით აიხსნება, რატომ ვერ უმკლავდება ადამიანების ნაწილი მათემატიკურ დავალებებს და არჩევანს ჰუმანიტარულ მეცნიერებებზე აკეთებს.

მოკლედ, მოსწავლეებისთვის გადასარევი მიზეზია, მათემატიკის გაკვეთილები გააცდინონ და თქვან: „ამოცანებს რომ ვხსნით, მარტო თავი კი არა, ხელებიც გვტკივა, ფეხებიც, თვალებიც, ენაც, ცხვირიც, ყელიც, ღვიძლიც, ელენთაც“ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

*uralweb.ru*

## მეცნიერების მტკიცებით, კაცობრიობა სულელდება და შტერდება



მაშ, მაშა, ასე ამბობენ მეცნიერები – სულ გამოშტერებისკენ მიდის კაცობრიობაო და ზოგ-ზოგიერთებს რომ ვუყურებთ, მგონი, სიმართლის მარცვალი კი უნდა ერიოს ამ დასკვნაში.

ახალი კვლევის შედეგების თანახმად, კაცობრიობა ნელ-ნელა, მაგრამ გვერდზე გადახვევის გარეშე მიდის თავისი ინტელექტუალური და ემოციური შესაძლებლობების დაკარგვის გზაზე.

სტენფორდის უნივერსიტეტის გენეტიკოსი ჯერალდ კრაბტრი ამტკიცებს, რომ კაცობრიობამ განვითარების პიკს 2000-დან 6000 წლის წინათ მიაღწია და მას შემდეგ, ემოციურ გენეტიკურ მუტაციებს მხოლოდ გონებრივი შესაძლებლობების დაქვეითებისკენ მივყავართ და არა განვითარებისკენ.

გენეტიკური თვალსაზრისით, ადამიანურმა ინტელექტმა თავის მიმდინარე „კონფიგურაციას“ პალეოლითის ეპოქაში, დაახლოებით 6 ათასი წლის წინათ მიაღწია. ეს იყო ინტელექტის ის დონე, რომელმაც ადამიანს თავის გატანა ასწავლა: საკვების მოპოვება და შთამომავლობის აღზრდა. ადამიანები, ვინც ეს ვერ ისწავლეს, გადაშენდნენ. მაგრამ ჩვენს დროში, როგორც კრაბტრი ამბობს, ცხოვრება ზედმეტად იოლი გახდა, ადამიანმა თავის გატანის უნარები დაკარგა და ტვინიც უფრო მეტად დამყოლი გახდა გენეტიკური მუტაციების მიმართ, რომელსაც გონებრივ განვითარებაში სხვადასხვა გადახრა მოსდევს.

კრაბტრიმ გამოითვალა, რომ ინტელექტის ფორმირებაში 2-დან 5 ათასამდე გენი მონაწილეობს, რომელთა დეგრადირება დაახლოებით 3 ათასი წლის წინათ დაიწყო. ამ დროის მანძილზე კაცობრიობამ მინიმუმ 2 სერიოზული გენეტიკური მუტაცია გადაიტანა, რამაც ინტელექტი მნიშვნელოვნად შეარყია.

ჩვენ თუ გვკითხავთ, ჯერალდ კრაბტრის ეს მოსაზრება ძალიან პარადოქსულია თუნდაც იმიტომ, რომ, სტატისტიკის თანახმად, ბოლო 100 წლის მანძილზე აიქიუს საშუალო მაჩვენებელი მნიშვნელოვნადაა გაზრდილი. ამდენად, კრაბტრის ჰიპოთეზა მართლაც ძალიან სადავოა და სამეცნიერო წრეებში მასზე მსჯელობა კიდევ კარგა ხანს გასტანს.

*tainamira.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**19 ნოემბერი:** სამართლიანობისთვის ბრძოლას მოინდომებთ, მაგრამ გარშემომყოფებთან ურთიერთობაში შეიძლება უტაქტოდ მოიქცეთ. ვინმე არ გაანაწყენოთ.

**კურო 22.04-21.05**

**19 ნოემბერი:** შეძლებისდაგვარად ეგოისტი იყავით. დღეს საკუთარ თავს მაქსიმალური სიამოვნება უნდა მიანიჭოთ.

**ტყუპები 22.05-21.06**

**19 ნოემბერი:** პაუზა გააკეთეთ და შეძლებისდაგვარად დაისვენეთ. დიდია ალბათობა, შემდგომი დღეები დაძაბული გამოდგეს. მოემზადეთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**19 ნოემბერი:** მისტიციზმისკენ იქნებით მიდრეკილი. ზედმეტად არ გაერთოთ, სახეიროს აქედან ვერაფერს მიიღებთ.

**ლომი 23.07-22.08**

**19 ნოემბერი:** თუ დღეს რამე ახალში გამოცდით საკუთარ თავს, მაქსიმალურად პატიოსანი იყავით თქვენი შესაძლებლობების შეფასებისას. ეს ბევრ უსიამოვნებას აგაცილებთ თავიდან.

**ქალწული 23.08-22.09**

**19 ნოემბერი:** იქნებ ეს დღე საოჯახო საქმეებისთვის დაგეთმოთ. შეიძლება ზუსტად არ იცით, მაგრამ სასწრაფოდ დასამთავრებელი საქმეები აღმოაჩინოთ.

**სასწორი 23.09-22.10**

**19 ნოემბერი:** თუ რამე სიახლეები გინდათ, სახლის გაწყობა-გალამაზებით დაიწყეთ. შეიძლება ამ ცვლილებაში ოჯახის წევრები არ დაგეთანხმონ, მშვიდად მოილაპარაკეთ.

**მორიელი 23.10-21.11**

**19 ნოემბერი:** დღეს რაღაცას, რაც თქვენთვის კარგად ნაცნობია, სულ სხვა თვალით შეხედავთ და საკმაო დრო დაგჭირდებათ მის ნიუანსებში გასარკვევად.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**19 ნოემბერი:** არსებულ სიტუაციაზე პასუხისმგებლობა აიღეთ. თუ ამას თავად არ იზამთ, სხვები გაიძულებენ, თანაც არცთუ სასიამოვნო ფორმით.

**თხის რქა 22.12-19.01**

**19 ნოემბერი:** შეეცადეთ, გაგებით მოეკიდოთ იმ მცირე უსიამოვნებებს, რომლებიც ნათესავების მხრიდან წამოვა. უსიამოვნებები მართლაც უმნიშვნელო იქნება.

**მერწყული 20.01-18.02**

**19 ნოემბერი:** თუ დღეს რამე იდეა მოგივათ, ერთი წამით არ ამოიგდოთ თავიდან. ის იმდენად კარგი იქნება, მასზე უარის თქმით ბევრს ინანებთ.

**თევზები 19.02-20.03**

**19 ნოემბერი:** დღეს ყველაფერი თქვენს სურვილებზე იქნება დამოკიდებული. თამამად იმოქმედეთ, ისეთი არაფერი მოხდება, სანანებელი რომ გაგიხდეთ.

## პარსვა თმის ზრდაზე, სისქესა და ფერზე სულაც არ მოქმედებსო



როცა იპარსავთ სახეს, ფეხებს, იღლიებს თუ რა ვიცით, სხეულის ნებისმიერ ადგილს, შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ თმა უფრო სქელი და უხეში იზრდება.

სიმართლე გითხრათ, თავადაც ასე ვფიქრობდით, თუმცა აღმოჩნდა, რომ სულ ტყუილად.

როცა სხეულზე სამართებელს ვისვამთ, ვჭრით მხოლოდ თმის თხელ ნაწილს, სქელი კი გაზრდას კვლავ აგრძელებს.

გარდა ამისა, თმა ხელის გადასმისას უხეში იმიტომ გვეჩვენება, რომ პარსვის შედეგად დამოკლდა. საგრძნობლად გამუქებული თმაც კი ილუზიააო, ასე ამბობენ. რატომ და უფრო მუქად იმიტომ ჩანს, რომ ახლა წერტილებს უშუალოდ თქვენი ნორმალური კანის ფერის ფონზე ხედავთ.

აღნიშნულ საკითხზე მეცნიერებმა კვლევაც კი ჩაატარეს, რომლის ფარგლებშიც შეეცადნენ, დაედგინათ, მოქმედებს თუ არა პარსვა თმის ზრდაზე.

ჰოდა, აღმოჩნდა, რომ პარსვის შედეგად არ იცვლება არც თმის ზრდის სიჩქარე, არც ფერი, არც სტრუქტურა და არც ტექსტურა.

*myjane.ru*

## ფეხმძიმობა და მობილური ტელეფონი შეუთავსებელიაო



ძალიან კარგადაა ცნობილი სპეციალისტების უმრავლესობის დამოკიდებულება მობილური ტელეფონის მიმართ და ალბათ, გასაკვირი არც იელის ინსტიტუტის კვლევის შედეგი უნდა იყოს.

როგორც კვლევის ავტორები ამბობენ, უმჯობესია, მორალური მხარდაჭერა ფეხმძიმე ქალმა არა ტელეფონით, არამედ პირადი შეხვედრებიდან მიიღოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, თუკი მოგენატრათ მეგობარი, დედა ან მამიდაშვილი, სტუმრად ეწვიოთ ჯობია, ვიდრე ტელეფონს „ჩამოეკიდოთ“.

დოქტორი ჰიუ ტეილორი მიიჩნევს, რომ არსებობს სერიოზული რისკები, მობილურმა ტელეფონმა ნაყოფზე ნეგატიური გავლენა მოახდინოს. კერძოდ, მომავალში ბავშვის ჰიპერაქტიურობა გამოიწვიოს.

როგორც ხდება ხოლმე, ექსპერიმენტი თაგვებზე ჩატარდა: მღრღნელების შთამომავლები, რომლებიც მობილური ტელეფონის დასხივების არეში ხშირად ხვდებოდნენ, მართლაც ბევრად აქტიურები აღმოჩნდნენ.

– უმჯობესია, ფეხმძიმე ქალებმა მობილური ტელეფონი მაქსიმალურად იშვიათად გამოიყენონ, – ასეთია იელის უნივერსიტეტის გამოცდილი სპეციალისტების რეკომენდაცია.

*myjane.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



სახლში ტელეფონი რეკავს. პასუხობს მამაკაცი:

– ალო... ჰო, დედა... კი, ისევ ვიჩხუბეთ!.. როგორ არ მახსოვს, სულ მიმეორებდი, შეეშვი, საზიზღარი ხასიათი აქვს და ცოლად მოყვანა აზრადაც არ გაივლოო!.. მართალი იყავი, ვაღიარებ!.. რა თქმა უნდა, ახლა ვნანობ!.. ვცადე, მაგრამ არაფერი გამოდის!.. ერთი წუთით... გკოცნი, მერე შეგეხმიანები...

და ცოლს გასძახებს:

– მოდი, დედაშენი რეკავს...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
ალია
211359457
კვირის ქრონიკა
დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“** საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართი: [illegible], I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული ([illegible])
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.25